

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის

№2014/30/EU დირექტივა

ელექტრომაგნიტურ თავსებადობასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების ჰარმონიზების შესახებ

(კორექტირებული ვერსია)

(მოცემული ტექსტი ძალაშია ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებში)

ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ,

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების, კერძოდ მისი 114-ე მუხლის საფუძველზე,

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე,

ეროვნული პარლამენტების მიმართ საკანონმდებლო აქტების პროექტების გადაცემის შემდგომ,

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრების გათვალისწინებით¹,

მოქმედებენ რა ზოგადი საკანონმდებლო პროცედურის თანახმად²,

ვინაიდან:

- (1) ელექტრომაგნიტურ თავსებადობასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების მიახლოებისა და №89/336/EEC დირექტივის³ გამოთხოვის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 15 დეკემბრის №2004/108/EC დირექტივაში უნდა განხორციელდეს რიგი ცვლილებები. მეტი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით, მოცემული დირექტივა ექვემდებარება კორექტირებას.
- (2) ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის (EC) №765/2008 რეგლამენტი, რომელშიც განსაზღვრულია პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით აკრედიტაციისა და ბაზრის ზედამხედველობის მიმართ არსებული მოთხოვნები⁴, განსაზღვრავს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების აკრედიტაციის წესებს,

¹ ოფიციალური ჟურნალი C 181, 21.6.2012 წ., გვ. 105.

² ევროპარლამენტის 2014 წლის 5 თებერვლის პოზიცია (ჯერ არ არის გამოქვეყნებული ოფიციალურ ჟურნალში) და საბჭოს 2014 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება.

³ ოფიციალური ჟურნალი L 390, 31.12.2004 წ., გვ. 24.

⁴ ოფიციალური ჟურნალი L 218, 13.8.2008 წ., გვ. 30.

წარმოადგენს პროდუქციის ბაზრის ზედამხედველობისა და მესამე ქვეყნებიდან შემოსული პროდუქციის კონტროლის პირობებს, ასევე CE მარკირების ზოგად პრინციპებს.

- (3) პროდუქციის რეალიზაციის ზოგადი პირობების განსაზღვრის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №768/2008/EC გადაწყვეტილება¹ განსაზღვრავს ზოგად პრინციპებსა და დებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია სექტორულ² კანონმდებლობასთან ერთობლივად გამოსაყენებლად, აღნიშნული კანონმდებლობის გადასინჯვის ან კორექტირების მიზნით გარკვეული საფუძვლის შესაქმნელად. №2004/108/EC დირექტივის ადაპტირება უნდა მომხდარიყო აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან.
- (4) ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რადიოკომუნიკაციების, მათ შორის, რადიომაუწყებლობის მიღებისა და რადიოსამოყვარულო სამსახურების, რომლებიც ფუნქციონირებენ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) მიერ შემუშავებული რადიო რეგულაციების შესაბამისად, ელექტროენერჯის მიწოდების ქსელებისა და სატელეკომუნიკაციო ქსელების, ასევე, აღნიშნულთან დაკავშირებული მოწყობილობების დაცვა ელექტრომაგნიტური ხელშეშლისგან.
- (5) აუცილებელია ელექტრომაგნიტური ხელშეშლისგან დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ელექტრო და ელექტრონული აპარატურის თავისუფალი გადაადგილება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სათანადო დაცულობის დონის დაქვეითების გარეშე.
- (6) წინამდებარე დირექტივა ვრცელდება იმ პროდუქციაზე, რომელიც წარმოადგენს სიახლეს ევროკავშირის ბაზრისთვის, როდესაც ხდება მისი გაყიდვაში ჩაშვება: აღნიშნული გულისხმობს, რომ პროდუქცია წარმოადგენს ევროკავშირში დაფუძნებული მწარმოებლის მიერ შექმნილ ახალ პროდუქტს ან მესამე ქვეყნებიდან იმპორტირებულ ან მეორად პროდუქტს.
- (7) წინამდებარე დირექტივა მოიცავს მიწოდების ყველა ფორმას, დისტანციური რეალიზაციის ჩათვლით.
- (8) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული მოწყობილობები გულისხმობს როგორც აპარატურას, ასევე სტაციონარულ დანადგარებს. თუმცა მოწყობილობის თითოეულ სახეობასთან დაკავშირებით აუცილებელია სხვადასხვა დებულებების შემუშავება. აღნიშნულის აუცილებლობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ აპარატურის გადაადგილება შესაძლებელია შეუფერხებლად ევროკავშირის ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო, მეორე მხრივ, სტაციონარული დანადგარები, რაც გულისხმობს აპარატების ერთობლიობასა და, სათანადო შემთხვევებში, სხვა დანადგარებსაც, მონტაჟდება პერმანენტული ვადით, წინასწარ განსაზღვრულ

¹ ოფიციალური ჟურნალი L 218, 13.8.2008 წ., გვ. 82.

² ევროკომისიის განმარტებით, აქ იგულისხმება სექტორისთვის სპეციფიკური წესები და რეგულაციები (*მზია გოგილაშვილი*)

- ადგილზე. აღნიშნული დანადგარების შემადგენლობა და ფუნქციონირების რეჟიმი უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება მომხმარებლის სპეციფიკურ მოთხოვნებს.
- (9) იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე დირექტივა არეგულირებს აპარატურას, იგი გამოიყენება მხოლოდ ბაზარზე განთავსებულ მზა აპარატურასთან მიმართებით. კონკრეტული კომპონენტები ან დანადგარების ერთეულები შესაძლებელია ჩაითვალოს აპარატურად, თუ ისინი ხელმისაწვდომი იქნება ბოლო მომხმარებლისათვის.
- (10) წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება რადიოდანადგარებსა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალურ დანადგარებს, ვინაიდან ისინი უკვე გათვალისწინებულია რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების, ასევე მათი შესაბამისობის ურთიერთადიარების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 9 მარტის №1999/5/EC დირექტივაში¹. მოცემულ ორივე დირექტივაში გათვალისწინებული მოთხოვნები ელექტრომაგნიტურ თავსებადობასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს დაცვის თანაბარ დონეს.
- (11) წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება საჰაერო ხომალდებსა და აღჭურვილობაზე, ვინაიდან ისინი უკვე ექვემდებარება ელექტრომაგნიტური თავსებადობის მარეგულირებელ ევროკავშირის საგანგებო წესებსა თუ სხვა საერთაშორისო წესებს.
- (12) წინამდებარე დირექტივა არ ითვალისწინებს იმ მოწყობილობებს, რომლებიც არ იწვევს ელექტრომაგნიტურ ხელშეშლას.
- (13) მოცემული დირექტივა არ ვრცელდება მოწყობილობების უსაფრთხოებაზე, ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით მოქმედებს ევროკავშირის საგანგებო წესები ან ეროვნული კანონმდებლობები.
- (14) ქსელთან დაკავშირების მიზნით შექმნილი მოწყობილობების მწარმოებლებმა უნდა შეიმუშავონ მოწყობილობების ისეთი კონსტრუქცია, რომლის საშუალებითაც თავიდან იქნება აცილებული ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა. ქსელის მომხმარებლებმა უნდა უზრუნველყონ მათი ქსელების იმგვარად კონსტრუქცია, რომ ქსელთან დაკავშირების მიზნით შექმნილი მოწყობილობების მწარმოებლებმა არ განიცადონ არათანაბარი დატვირთვა მათი ქსელების მწყობრიდან გამოსვლის თავიდან აცილებისას. სტანდარტიზაციის ევროპულმა ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ აღნიშნული პირობა (შესაბამისი ტიპის ელექტრომაგნიტური მოვლენის კუმულაციური ეფექტის ჩათვლით) ჰარმონიზებული სტანდარტების შემუშავებისას.
- (15) ელექტრომაგნიტური ხელშეშლისგან დაცვა მოითხოვს შესაბამისი ვალდებულებების დაკისრებას სხვადასხვა ოპერატორებზე. აღნიშნული ვალდებულებები აუცილებელია სამართლიანი და ეფექტური გზით სათანადო დაცულობის დონის მისაღწევად.

¹ ოფიციალური ჟურნალი L 91, 7.4.1999 წ., გვ. 10.

- (16) ეკონომიკური ოპერატორების პასუხისმგებლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს აპარატურის შესაბამისობის უზრუნველყოფა წინამდებარე დირექტივასთან, მიწოდების ჯაჭვში მათი შესაბამისი როლების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილი იყოს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა უმაღლეს დონეზე და ევროკავშირის ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის დამკვიდრება.
- (17) მიწოდებისა და გავრცელების ჯაჭვში ჩართულმა ყოველმა ეკონომიკურმა ოპერატორმა უნდა მიმართოს სათანადო ზომებს იმ ფაქტის უზრუნველსაყოფად, რომ გაყიდვაში წარმოადგინონ მხოლოდ წინამდებარე დირექტივის შესაბამისი აპარატურა. ეს აუცილებელია მიწოდებისა და გავრცელების ჯაჭვში ჩართული ყოველი ეკონომიკური ოპერატორის როლის შესაბამისი ვალდებულებების გარკვეული და თანაბარი განაწილების მიზნით.
- (18) ეკონომიკურ ოპერატორებს, ბაზრის ზედამხედველ ორგანოებსა და მომხმარებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ეკონომიკური ოპერატორების მიერ მათ საფოსტო მისამართთან ერთად ვებ-გვერდის მისამართის მითითება.
- (19) მწარმოებელს, რომელიც ყველაზე უკეთ იცნობს დაპროექტებისა და წარმოების პროცესს, ყველაზე უკეთ შეუძლია შესაბამისობის შეფასების პროცედურის სისრულეში მოყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისობის შეფასება წარმოადგენს მწარმოებლის მოვალეობას.
- (20) მესამე ქვეყნებიდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შემავალი პროდუქცია აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, მწარმოებლებმა სისრულეში უნდა მოიყვანონ შესაბამისობის შეფასების სათანადო პროცედურები მითითებულ აპარატურასთან დაკავშირებით. იმპორტიორების მიმართ წარდგენილი უნდა იყოს პირობა, რომ მათ მიერ ბაზარზე წარმოდგენილი აპარატურა უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მათ არ უნდა განათავსონ ბაზარზე ისეთი აპარატურა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მითითებულ მოთხოვნებს ან ქმნის საფრთხეს. ასევე იმპორტიორების მიმართ წარდგენილი უნდა იყოს შესაბამისობის შეფასების პროცედურების სისრულეში მოყვანის, აპარატურის მარკირებისა და მწარმოებლების მიერ შექმნილი დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის პირობა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ შემოწმების მიზნით.
- (21) აპარატურის გაყიდვაში ჩაშვებისას, ყოველმა იმპორტიორმა უნდა მიუთითოს აპარატურაზე მისი დასახელება, რეგისტრირებული სავაჭრო დასახელება ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი, ასევე საფოსტო მისამართი, რომელზეც მოხდება მასთან დაკავშირება. გამონაკლისები დასაშვებია იმ შემთხვევებში, როდესაც აპარატურის ზომა და შემადგენლობა არ იძლევა აღნიშნულის შესაძლებლობას. ეს

- გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც იმპორტიორი იძულებულია გახსნას შეფუთვა აპარატურაზე მისი დასახელებისა და მისამართის მითითების მიზნით.
- (22) დისტრიბუტორი აპარატურას განათავსებს ბაზარზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ჩაშვებული იქნება გაყიდვაში მწარმოებლის ან იმპორტიორის მიერ და მან უნდა იმოქმედოს სათანადო სიფრთხილის ზომების დაცვით, რათა უზრუნველყოს, რომ მის მიერ აპარატურის განკარგვა არ აისახებოდეს უარყოფითად აპარატურის შესაბამისობაზე.
- (23) ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც წარმოადგენს აპარატურას ბაზარზე საკუთარი სახელით ან სავაჭრო ნიშნით ან შეცვლის აპარატურას იმ სახით, რაც იმოქმედებს წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობაზე, ჩაითვლება მწარმოებლად და დაეკისრება მწარმოებლის მიმართ განსაზღვრული ვალდებულებები.
- (24) ბაზართან ახლოს მყოფი დისტრიბუტორები და იმპორტიორები ჩართულნი უნდა იყვნენ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ ბაზრის მეთვალყურეობის საქმიანობაში და მზად უნდა იყვნენ, აქტიური მონაწილეობისთვის, რათა მიაწოდონ აღნიშნულ ორგანოებს შესაბამის აპარატურასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაცია.
- (25) აპარატურის კონტროლის შესაძლებლობის უზრუნველყოფა სრული მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში კიდევ უფრო გაამარტივებს და ეფექტურს გახდის ბაზრის ზედამხედველობას. ეფექტური კონტროლის სისტემა საშუალებას მისცემს ბაზრის ზედამხედველ ორგანოებს თვალყური ადევნონ იმ ეკონომიკურ ოპერატორებს, რომლებმაც ბაზარზე წარმოადგინეს შეუსაბამო აპარატურა. სხვა ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიცირების მიზნით წინამდებარე დირექტივის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოების შემთხვევაში, ეკონომიკურ ოპერატორებს არ მოეთხოვებათ აღნიშნული ინფორმაციის განახლება იმ სხვა ეკონომიკურ ოპერატორებთან დაკავშირებით, რომლებმაც მიაწოდეს მათ აპარატურა ან რომლებსაც მათ მიაწოდეს აპარატურა.
- (26) სტაციონარულმა დანადგარებმა, მასშტაბური მექანიზმებისა და ქსელების ჩათვლით, შესაძლებელია გამოიწვიოს ელექტრომაგნიტური ხელშეშლა ან შესაძლებელია თავად განიცადონ აღნიშნული ხელშეშლა. სტაციონარული დანადგარები და აპარატურა შესაძლებელია წარმოადგენილი იყოს ურთიერთკავშირში, შესაბამისად, სტაციონარული დანადგარების მიერ გამოწვეული ელექტრომაგნიტური ხელშეშლა შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აპარატურაზე ან პირიქით. ელექტრომაგნიტურ თავსებადობასთან დაკავშირებით, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი იწვევს ელექტრომაგნიტურ ხელშეშლას: აპარატურა თუ სტაციონარული დანადგარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტაციონარული დანადგარი და აპარატურა უნდა დაექვემდებაროს ძირითად მოთხოვნებს ერთგვაროვანი და ამომწურავი სახით.

- (27) წინამდებარე დირექტივა უნდა შემოიფარგლოს ძირითადი მოთხოვნების გამოხატვით. მითითებული მოთხოვნების თანახმად, შესაბამისობის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შესაბამისობის პრეზუმფცია იმ მოწყობილობასთან დაკავშირებით, რომელიც შეესაბამება ევროპული სტანდარტიზაციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის (EC) №1025/2012 რეგლამენტის¹ შესაბამისად მიღებულ ჰარმონიზებულ სტანდარტებს აღნიშნული მოთხოვნების დეტალური ტექნიკური სპეციფიკაციების ასახვის მიზნით. ჰარმონიზებული სტანდარტები ასახავს საყოველთაოდ აღიარებულ თანამედროვე მდგომარეობას ევროკავშირში ელექტრომაგნიტურ თავსებადობასთან დაკავშირებით.
- (28) (EC) №1025/2012 რეგლამენტი ითვალისწინებს ჰარმონიზებული სტანდარტების უარყოფის პროცედურას იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სტანდარტები ვერ აკმაყოფილებს სრულად მოცემული დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- (29) იმისათვის, რომ ეკონომიკურ ოპერატორებს მიეცეთ დემონსტრირების შესაძლებლობა, ხოლო კომპეტენტურ ორგანოებს იმ ფაქტის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, რომ ბაზარზე წარმოდგენილი აპარატურა აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს, აუცილებელია შესაბამისობის პროცედურების სისრულეში მოყვანა. №768/2008/EC გადაწყვეტილება განსაზღვრავს მოდულებს შესაბამისობის შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, რომლებიც მოიცავს ყველაზე უმნიშვნელო დონიდან ყველაზე მნიშვნელოვანი დონის რისკების განსაზღვრის პროცედურებს. სექტორთაშორისი ერთგვაროვნობის უზრუნველყოფისა და საგანგებო ვარიანტების თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისობის შეფასების პროცედურები უნდა შეირჩეს აღნიშნულ მოდულებს შორის.
- (30) შესაბამისობის შეფასების ვალდებულების ფარგლებში, მწარმოებელს მოეთხოვება აპარატურასთან დაკავშირებით ელექტრომაგნიტური თავსებადობის შეფასების სისრულეში მოყვანა შესაბამისი მოვლენის საფუძველზე, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა იგი წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებს.
- (31) იმ შემთხვევაში, თუ აპარატურა გათვალისწინებულია სხვადასხვა კონფიგურაციაში გამოყენებისთვის, ელექტრომაგნიტური თავსებადობის შეფასების შედეგად უნდა განისაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა აპარატურა კონფიგურაციებში წარმოდგენილ ძირითად მოთხოვნებს, რომლებიც მწარმოებლის მიერ გათვალისწინებულია რეპრეზენტატიული სახით ექსპლუატაციის სტანდარტულ და საგანგებო პირობებში. აღნიშნულ შემთხვევებში საკმარისი უნდა იყოს შეფასების ჩატარება იმ კონფიგურაციების საფუძველზე, რომლებიც სავარაუდოდ განაპირობებს შედარებით მძლავრ ხელშემლას ან რომლებიც მეტნაკლებად მგრძობიარენი არიან ხელშემლას მიმართ.

¹ ოფიციალური ჟურნალი L 316, 14.11.2012 წ., გვ. 12.

- (32) შესაბამისობის შეფასების ჩატარება არ არის აუცილებელი იმ აპარატურასთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოდგენილია გაყიდვაში შესაბამის ფიქსირებულ დანადგარში ინტეგრირების მიზნით; ხოლო იმ სტაციონარული დანადგარისგან განცალკევებით, რომელშიც უნდა მოხდეს მისი ინტეგრირება, არ არის წარმოდგენილი გაყიდვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული აპარატურა თავისუფლდება შესაბამისობის შეფასების პროცედურების გავლის აუცილებლობისგან, რომლებიც, როგორც წესი, მოქმედებს აპარატურასთან დაკავშირებით. თუმცა, ამგვარმა აპარატურამ არ უნდა დაარღვიოს იმ სტაციონარული დანადგარების შესაბამისობა, რომლებშიც არის ინტეგრირებული. იმ შემთხვევაში თუ აპარატურა ინტეგრირებული იქნება ერთზე მეტ იდენტიურ სტაციონარულ დანადგარში, აღნიშნული დანადგარების ელექტრომაგნიტური თავსებადობის განსაზღვრა საკმარისი უნდა იყოს შესაბამისობის შეფასების პროცედურისგან გასათავისუფლებლად.
- (33) მწარმოებლებმა უნდა შეიმუშავონ EU შესაბამისობის დეკლარაცია, რათა წარმოადგინონ წინამდებარე დირექტივასთან და ევროკავშირის ნებისმიერ სხვა ჰარმონიზაციის კანონმდებლობასთან აპარატურის შესაბამისობის შესახებ მოცემული დირექტივით მოთხოვნილი ინფორმაცია.
- (34) ბაზრის ზედამხედველობის მიზნებისთვის ინფორმაციასთან ეფექტური წვდომის უზრუნველსაყოფად, ევროკავშირის ყველა მოქმედი აქტის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ EU შესაბამისობის დეკლარაციაში. ეკონომიკური ოპერატორების მიმართ ადმინისტრაციული დატვირთვის შემცირების მიზნით, აღნიშნული ერთი EU შესაბამისობის დეკლარაცია შესაძლებელია წარმოადგენდეს დოსიეს, რომელიც შედგება შესაბამისი ინდივიდუალური შესაბამისობის დეკლარაციებისგან.
- (35) CE მარკირება, რომელიც მიუთითებს აპარატურის შესაბამისობაზე, წარმოადგენს ყველაზე ფართო მნიშვნელობით შესაბამისობის შეფასების სრული პროცესის თვალსაჩინო შედეგს. CE მარკირების მარეგულირებელი ზოგადი პრინციპები წარმოდგენილია (EC) №765/2008 რეგლამენტში. CE მარკირების მითითების წესები ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს წინამდებარე დირექტივაში.
- (36) მათი სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, სტაციონარული დანადგარები არ საჭიროებს CE მარკირების მითითებას ან EU შესაბამისობის დეკლარაციას.
- (37) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების ერთერთ პროცედურას წარმოადგენს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების ჩართვა, რომელთაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები შეატყობინებენ კომისიას.
- (38) გამოცდილებამ აჩვენა, რომ №1999/5/EC დირექტივით გათვალისწინებული კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ შესაბამისობის შემფასებელმა ორგანოებმა და რომლებიც უნდა ეუწყოს ევროკომისიას, არ არის საკმარისი ევროკავშირის ფარგლებში შემფასებელი ორგანოების ერთგვაროვანი, უმაღლეს

დონეზე მოქმედების უზრუნველსაყოფად. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყოველმა შემფასებელმა ორგანომ შეასრულოს მისი ფუნქცია იგივე დონეზე და სამართლიანი კონკურენციის პირობებში. აღნიშნული მოითხოვს სავალდებულო მოთხოვნების განსაზღვრას შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიმართ, რომელთაც სურთ, რომ მიეწოდოთ შეტყობინებია შესაბამისობის შეფასების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.

- (39) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისობის შემფასებელი ორგანო მოახდენს ჰარმონიზებულ სტანდარტებში წარმოდგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დემონსტრირებას, აღნიშნული სავარაუდოდ უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ შესაბამის მოთხოვნებს.
- (40) შესაბამისობის შეფასების ხარისხის სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე აუცილებელია მოთხოვნების განსაზღვრა შეტყობინების ორგანოებისა და შემფასებელი ორგანოების შეფასების, შეტყობინებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართული სხვა ორგანოების მიმართ.
- (41) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული სისტემა წარმოდგენილი უნდა იყოს (EC) №765/2008 რეგლამენტით გათვალისწინებულ აკრედიტაციის სისტემასთან ერთობლიობაში. ვინაიდან აკრედიტაცია წარმოადგენს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების კომპეტენციის შემოწმების მნიშვნელოვან საშუალებას, მისი გამოყენება ასევე უნდა მოხდეს შეტყობინების მიზნებისთვის.
- (42) (EC) №765/2008 რეგლამენტით გათვალისწინებული გამჭვირვალე აკრედიტაცია, რაც დასტურდება შესაბამის მოწმობებში, განხილული უნდა იქნას სახელმწიფო საჯარო ორგანოების მიერ ევროკავშირის ფარგლებში, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების ტექნიკური კომპეტენციის დემონსტრირების უპირატესი საშუალების სახით. თუმცა სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ ისინი ფლობენ აღნიშნული შეფასების თავად ჩასატარებლად აუცილებელ სათანადო საშუალებებს. აღნიშნულ შემთხვევებში, სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული შეფასებების სანდოობის უზრუნველსაყოფად, მათ უნდა მიაწოდონ ევროკომისიასა და ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს აუცილებელი დოკუმენტური მტკიცებულება, რომელშიც ნაჩვენებია იქნება შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიერ სათანადო მარეგულირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება.
- (43) შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები გარკვეულ შემთხვევებში ქვეხელშეკრულების საფუძველზე გადასცემენ შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული მათ მიერ შესასრულებელი ქმედებების ნაწილს ან დახმარებისთვის მიმართავენ შვილობილ კომპანიას. ევროკავშირის ბაზარზე განსათავსებელი აპარატურისთვის სათანადო დაცვის დონის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისობის შემფასებელი სუბკონტრაქტორები და შვილობილი კომპანიები აკმაყოფილებდნენ იგივე მოთხოვნებს, როგორც შეტყობინების ორგანოები შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული

- ამოცანების სისრულეში მოყვანის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ იმ ორგანოების, რომელთაც უნდა მიეწოდოს შეტყობინებია, კომპეტენციისა და საქმიანობის შეფასება და იმ ორგანოების, რომელთაც უკვე მიეწოდათ შეტყობინებია, მონიტორინგი გავრცელდეს ასევე სუბკონტრაქტორებისა და შვილობილი კომპანიების მიერ შესრულებულ ქმედებებზეც.
- (44) აუცილებელია შეტყობინების პროცედურის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაძლიერება და განსაკუთრებით მისი ახალ ტექნოლოგიებში ადაპტირება ონლაინ რეჟიმში შეტყობინების უზრუნველყოფის მიზნით.
- (45) ვინაიდან შემფასებელ ორგანოებს შეუძლიათ წარმოადგინონ მათი მომსახურებები ევროკავშირის ფარგლებში, მიზანშეწონილი იქნება, რომ ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებსა და ევროკომისიას მიეცეს შემფასებელ ორგანოსთან დაკავშირებით უარყოფის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სათანადო პერიოდის განსაზღვრა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების კომპეტენციასთან დაკავშირებული ყოველგვარი ეჭვი განიმარტება მანამ, სანამ ისინი დაიწყებენ საქმიანობას შემფასებელი ორგანოების უფლებამოსილებით.
- (46) კონკურენციის ინტერესებიდან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ შემფასებელმა ორგანოებმა მიმართონ შესაბამისობის შეფასების პროცედურებს ეკონომიკური ოპერატორების არააუცილებელი დატვირთვის გარეშე. იგივე მიზნით და ეკონომიკური ოპერატორების თანასწორობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისობის შეფასების პროცედურების ტექნიკურ შესრულებასთან შესაბამისობა საჭიროებს უზრუნველყოფას. ყოველივე აღნიშნულის ყველაზე უკეთ განხორციელება შესაძლებელია სათანადო კოორდინირებისა და თანამშრომლობის გზით შემფასებელ ორგანოებს შორის.
- (47) სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია იმ ფაქტის განმარტება, რომ (EC) №765/2008 რეგლამენტით გათვალისწინებული ევროკავშირის ბაზრის ზედამხედველობასა და ევროკავშირის ბაზარზე შემავალი პროდუქციის კონტოლთან დაკავშირებული წესები მოქმედებს წინამდებარე დირექტივაში წარმოდგენილი პროცედურების მიმართ. აღნიშნული დირექტივა არ უშლის ხელს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების შერჩევაში მითითებული დავალებების სისრულეში მოყვანის მიზნით.
- (48) №2004/108/EC დირექტივა უკვე გათვალისწინებულია დაცვის პროცედურასთან დაკავშირებით. გამჭვირვალობის გაზრდისა და დამუშავების დროის შემცირების მიზნით, აუცილებელია არსებული დაცვის პროცედურის გაუმჯობესება მისი კიდევ უფრო ეფექტურობისა და დახვეწის უზრუნველსაყოფად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული ცოდნის საფუძველზე.
- (49) არსებული სისტემა წარმოდგენილი უნდა იქნას იმ პროცედურასთან ერთობლიობაში, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია იმ აპარატურასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ქმედებების

- შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული საჯარო ინტერესების დაცვის ასპექტებს. აღნიშნულის საფუძველზე აგრეთვე საშუალება უნდა მიეცეს ბაზრის ზედამხედველ ორგანოებს, შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორებთან თანამშრომლობით, იმოქმედონ ადრეულ ეტაპზე შესაბამის აპარატურასთან დაკავშირებით.
- (50) იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და ევროკომისია შეთანხმდებიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომების დასაბუთებაზე, აუცილებელი აღარ იქნება ევროკომისიის შემდგომი ჩარევა გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეუსაბამობა გამოიწვევს ხელშეშლას ჰარმონიზებულ სტანდარტთან დაკავშირებით.
- (51) წინამდებარე დირექტივის სისრულეში მოსაყვანად ერთგვაროვანი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, იმპლემენტაციის უფლებამოსილება მიენიჭება ევროკომისიას. აღნიშნული უფლებამოსილების სისრულეში მოყვანა უნდა მოხდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ევროკომისიის იმპლემენტაციის უფლებამოსილებით სარგებლობის კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული წესებისა და ზოგადი პრინციპების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 15 თებერვლის (EU) №182/2011 რეგლამენტის შესაბამისად.²
- (52) საკონსულტაციო პროცედურა გამოიყენება იმპლემენტაციის შესახებ აქტების მიღებასთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც შეტყობინების გამგზავნა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ აუცილებელი მაკორექტირებელი ზომების მიღება იმ შემთხვევაში, რომლებიც არ ან ვეღარ აკმაყოფილებენ მათ შეტყობინებისასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.
- (53) დამკვირვებელი პრაქტიკის თანახმად, წინამდებარე დირექტივის საფუძველზე შექმნილ კომიტეტს შეუძლია შეასრულოს სასარგებლო როლი მოცემული დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით შემოწმების საკითხებში, რომელსაც წამოჭრის მისი თავმჯდომარე ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი მისი მოქმედების წესების თანახმად.
- (54) იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე დირექტივასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა მის სისრულეში მოყვანასა თუ დარღვევასთან დაკავშირებული საკითხებისა, განიხილება, მაგალითად, ევროკომისიის ექსპერტთა ჯგუფში, ევროპარლამენტმა, არსებული პრაქტიკის თანახმად, უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში, ასევე მოწვევაც აღნიშნულ შეხვედრებზე დასასწრებად.
- (55) კომისიამ, იმპლემენტაციის შესახებ აქტების საშუალებითა და მათი სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით, (EU) №182/2011 რეგლამენტისგან დამოუკიდებლად მოქმედების გზით, უნდა განსაზღვროს არის თუ არა დასაბუთებული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ შეუსაბამო აპარატურასთან დაკავშირებით მიღებული ზომები.

² ოფიციალური ჟურნალი L 55, 28.02.2011 წ., გვ. 13.

- (56) ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ წინამდებარე დირექტივის ფარგლებში მიღებული სახელმწიფო კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების დარღვევასთან დაკავშირებული სანქციების წესები და უზრუნველყონ აღნიშნული წესების კანონიერ ძალაში შესვლა. წარმოდგენილი სანქციები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და გადამარწმუნებელი.
- (57) აუცილებელია სათანადო გარდამავალი შეთანხმებების უზრუნველყოფა იმ აპარატურის რეალიზაციისა და ექსპლუატაციაში ჩაშვების მიზნით, პროდუქციასთან დაკავშირებით არსებული სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობის გარეშე, რომელიც უკვე წარმოდგენილი იყო ბაზარზე №2004/108/EC დირექტივის თანახმად, აღნიშნულ დირექტივაში გადმოტანილი სახელმწიფო ზომების მიღების დღემდე. შესაბამისად, დისტრიბუტორებს უნდა შეეძლოთ იმ აპარატურის მიწოდება, რომელიც უკვე წარმოდგენილი იყო ბაზარზე, ანუ ინვენტარის, რომელიც უკვე ჩართულია გავრცელების ჯაჭვში, აღნიშნულ დირექტივაში გადატანილი სახელმწიფო ზომების მიღების დღემდე.
- (58) ვინაიდან წინამდებარე დირექტივის მიზანი, კერძოდ, შიდა ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოწყობილობების მიერ ელექტრომაგნიტური თავსებადობის შესაბამისი დონის დაკმაყოფილების გზით, შეუძლებელია სათანადოდ იქნას მიღწეული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დონეზე, მისი მასშტაბურობიდან და ეფექტიდან გამომდინარე, უკეთ მიიღწევა ევროკავშირის დონეზე, ევროკავშირის შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიურობის პრინციპის შესაბამისად. მოცემული მუხლით წარმოდგენილი პროპორციულობის პრინციპის თანახმად, აღნიშნული დირექტივა არ ტოვებს იმ ქმედებების ფარგლებს, რაც აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.
- (59) წინამდებარე დირექტივის სახელმწიფო კანონმდებლობაში გადატანის ვალდებულება უნდა შემოიფარგლოს იმ დებულებებით, რომლებიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას წინა დირექტივასთან შედარებით. უცვლელი სახით წარმოდგენილი დებულებების გადატანის ვალდებულება წარმოიშვება წინა დირექტივის საფუძველზე.
- (60) წინამდებარე დირექტივა არ უნდა არღვევდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს სახელმწიფო კანონმდებლობაში გადატანას ვადებსა და V დანართით გათვალისწინებული დირექტივის მიღების თარიღებთან დაკავშირებით.

მიღებულ იქნა შემდეგი დირექტივა:

თავი I
ძირითადი დებულებები
მუხლი 1
საგანი

წინამდებარე დირექტივა არეგულირებს მოწყობილობების ელექტრომაგნიტურ თავსებადობას. გარდა ამისა, მის მიზანს წარმოადგენს შიდა ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოწყობილობების მიერ ელექტრომაგნიტური თავსებადობის სათანადო დონის დაკმაყოფილების გზით.

მუხლი 2

გამოყენების არეალი

1. წინამდებარე დირექტივა ვრცელდება მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მოწყობილობებზე.
2. წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება:
 - (ა) №1999/5/EC დირექტივით გათვალისწინებულ მოწყობილობებზე;
 - (ბ) სამოქალაქო ავიაციის სფეროში საერთო წესების დამკვიდრებისა და საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს დაფუძნების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 20 თებერვლის (EC) №216/2008 რეგლამენტით, რომელიც აუქმებს საბჭოს №91/670/EEC დირექტივას, (EC) №1592/2002 რეგლამენტსა და №2004/36/EC დირექტივას³, გათვალისწინებულ საჰაერო-ტექნიკურ ნაკეთობებზე, ნაწილებსა და ელექტრომოწყობილობებზე;
 - (გ) რადიოაპარატურაზე, რომელიც გამოიყენება რადიომოყვარულების მიერ, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) კონსტიტუციისა და კონვენციის⁴ ფარგლებში მიღებული რადიოკავშირის რეგლამენტის თანახმად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აპარატურა წარმოდგენილი იქნება გაყიდვაში;
 - (დ) იმ მოწყობილობებზე, რომლებსაც მათი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით:
 - (i) გააჩნია ისეთი დაბალი ელექტრომაგნიტური გამოსხივება ან ისე უმნიშვნელოდ ურთიერთქმედებს ელექტრომაგნიტურ გამოსხივებასთან, რომ შესაძლებელი ხდება რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების, ასევე სხვა მოწყობილობების სათანადო ექსპლუატაცია; და
 - (ii) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ელექტრომაგნიტური ხელშემშლის ზემოქმედების მიუხედავად, რომელიც ჩვეულებრივ თავს იჩენს მისი

³ ოფიციალური ჟურნალი L 79, 19.3.2008 წ., გვ. 1.

⁴ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების კონსტიტუცია და კონვენცია მიღებულია დამატებითი სრულუფლებიანი კონფერენციის მიერ (ჟენევა, 1992 წ.), ცვლილებები შეტანილია სრულუფლებიანი კონფერენციის მიერ (კიოტო, 1994 წ.).

დანიშნულებისამებრ გამოყენებისას, დაუშვებელი დაზიანების მიყენების გარეშე.

(ე) შეკვეთით წარმოდგენილი შეფასების ტესტ-სისტემებზე, რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს მხოლოდ პროფესიონალების მიერ კვლევით ობიექტებზე შესაბამისი მიზნებისთვის.

პირველი პუნქტის (გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის, რადიომოყვარულების მიერ დასამონტაჟებელი კომპონენტების ტესტ-სისტემები, გაყიდვაში ჩაშვებული მოწყობილობები, რომლებშიც ცვლილება შეტანილია რადიომოყვარულების მიერ და მათ მიერ გამოყენების მიზნით, არ ჩაითვლება გაყიდვაში წარმოდგენილ მოწყობილობად.

3. იმ შემთხვევაში, თუ პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოწყობილობებთან დაკავშირებით ევროკავშირის სხვა დირექტივები ითვალისწინებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს I დანართის მოთხოვნების მიმართ სრულად ან ნაწილობრივ, მაშინ აღნიშნული დირექტივა არ გამოიყენება ან წყვეტს მოქმედებას მითითებულ მოწყობილობასთან დაკავშირებით, ევროკავშირის ზემოაღნიშნული სხვა დირექტივების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.
4. წინამდებარე დირექტივა არ მოქმედებს მოწყობილობების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ევროკავშირის კანონების ან შიდასახელმწიფოებრივი კანონების მიღებაზე.

მუხლი 3

განმარტებები

1. წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული მიზნებისთვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:
 - (1) 'მოწყობილობა' ნიშნავს ნებისიერი სახის აპარატურას ან სტაციონარულ დანადგარს;
 - (2) 'აპარატურა' ნიშნავს ნებისიერი მზა სახის მოწყობილობას ან მოწყობილობების ერთობლიობას, რომელიც წარმოდგენილია ბაზარზე განცალკევებული ფუნქციონალური ერთეულის სახით, განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისთვის, შეუძლია გამოიწვიოს ელექტრომაგნიტური ხელშეშლა ან რომლის გამოყენებამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს აღნიშნულ ელექტრომაგნიტურ ხელშეშლაზე;
 - (3) 'სტაციონარული დანადგარი' ნიშნავს სხვადასხვა ტიპის აპარატების და, არსებული გარემოებიდან გამომდინარე, სხვა დანადგარების განსაკუთრებულ კომბინაციას, რომლებიც ეწყობა, მონტაჟდება ან გათვალისწინებულია

ექსპლუატაციისთვის წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;

- (4) 'ელექტრომაგნიტური თავსებადობა' ნიშნავს მოწყობილობის შესაძლებლობას იმუშავოს დამაკმაყოფილებელ დონეზე მის ელექტრომაგნიტურ გარემოში ისე, რომ არ გამოიწვიოს ელექტრომაგნიტური ხელშეშლა აღნიშნულ გარემოში არსებული სხვა მოწყობილობების მიმართ;
- (5) 'ელექტრომაგნიტური ხელშეშლა' ნიშნავს ნებისმიერი სახის ელექტრომაგნიტურ მოვლენას, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს მოწყობილობის ფუნქციონირება; ელექტრომაგნიტური ხელშეშლა შესაძლებელია იყოს ელექტრომაგნიტური ხმაური, არასასურველი სიგნალი ან საკომუნიკაციო გავრცელების საშუალების ცვლილებაც კი;
- (6) 'ხელშეშლის მიმართ მედეგობა' ნიშნავს მოწყობილობის შესაძლებლობას გადატვირთვის გარეშე იმუშავოს ელექტრომაგნიტური ხელშეშლის პირობებში;
- (7) 'უსაფრთხოების მიზნები' ნიშნავს ადამიანის სიცოცხლის ან საკუთრების დაცვის მიზნებს;
- (8) 'ელექტრომაგნიტური გარემო' ნიშნავს ყოველგვარ ელექტრომაგნიტურ მოვლენას, რომელიც შესაძლებელია გამოვლინდეს მოცემულ ადგილზე;
- (9) 'გაყიდვაში ჩაშვება' ნიშნავს აპარატურის მიწოდებას გავრცელების, მოხმარების ან გამოყენების მიზნით ევროკავშირის ბაზარზე კომერციული საქმიანობის პროცესში, როგორც გარკვეული ანაზღაურებით, ასევე ანაზღაურების გარეშე;
- (10) 'ბაზარზე განთავსება' ნიშნავს უპირველეს ყოვლისა აპარატურის ევროკავშირის ბაზარზე გაყიდვაში ჩაშვებას;
- (11) 'მწარმოებელი' ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს, აპროექტებს ან აწარმოებს და გაყიდვაში უშვებს აპარატურას მისი სახელით ან სავაჭრო ნიშნით;
- (12) 'უფლებამოსილი წარმომადგენელი' ნიშნავს ევროკავშირის ფარგლებში დაფუძნებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს წერილობითი ფორმით გაფორმებული უფლებამოსილება მწარმოებლისგან მისი სახელით მოქმედების მიზნით კონკრეტულ დავალებებთან დაკავშირებით;
- (13) 'იმპორტიორი' ნიშნავს ევროკავშირის ფარგლებში დაფუძნებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც აპარატურა შემოაქვს ევროკავშირის ბაზარზე მესამე ქვეყნიდან;

- (14) 'დისტრიბუტორი' ნიშნავს მიწოდების ჯაჭვში ჩართულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, გარდა მწარმოებლისა ან იმპორტიორისა, რომელიც ბაზარზე წარმოადგენს აპარატურას;
- (15) 'ეკონომიკური ოპერატორი' ნიშნავს მწარმოებელს, უფლებამოსილ წარმომადგენელს, იმპორტიორს და დისტრიბუტორს;
- (16) 'ტექნიკური სპეციფიკაცია' ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს მოწყობილობის მიერ შესასრულებელ ტექნიკურ მოთხოვნებს;
- (17) 'ჰარმონიზებული სტანდარტი' ნიშნავს (EC) №1025/2012 რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (გ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ ჰარმონიზებულ სტანდარტს;
- (18) 'აკრედიტაცია' ნიშნავს (EC) №765/2008 რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ აკრედიტაციას;
- (19) 'აკრედიტაციის ეროვნული ორგანო' ნიშნავს (EC) №765/2008 რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ აკრედიტაციის ეროვნულ ორგანოს;
- (20) 'შესაბამისობის შეფასება' ნიშნავს პროცესს, რომელიც ასახავს შესრულდა თუ არა აპარატურასთან დაკავშირებით წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნები;
- (21) 'შესაბამისობის შეფასების ორგანო' ნიშნავს ორგანოს, რომელიც ასრულებს შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს დაკალიბრების, ტესტირების, სერტიფიცირების და შემოწმების ჩათვლით;
- (22) 'გამოხმობა' ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლის მიზანია საბოლოო მომხმარებლის მიმართ გადაცემული აპარატურის დაბრუნება;
- (23) 'გამოთხოვა' ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლის მიზანია მიწოდების ჯაჭვში არსებული აპარატურის გაყიდვაში ჩაშვებისთვის ხელის შეშლა;
- (24) 'ჰარმონიზაციის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობა' ნიშნავს ევროკავშირის ნებისმიერ კანონმდებლობას, რომელიც ახდენს პროდუქტების მარკეტინგისთვის აუცილებელი პირობების ჰარმონიზებას;
- (25) 'CE მარკირება' ნიშნავს მარკირებას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი მიუთითებს, რომ აპარატურა შეესაბამება ჰარმონიზაციის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობაში გათვალისწინებულ მოქმედ მოთხოვნებს.
2. წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის აპარატურად ასევე ჩაითვლება:
- (1) 'კომპონენტებს' ან 'კონსტრუქციული კომპონენტების ჯგუფებს', რომლებიც გათვალისწინებულია საბოლოო მომხმარებლის მიერ აპარატურაში ჩასართავად, შეუძლია გამოიწვიოს ელექტრომაგნიტური ხელშეშლა ან

რომელთა მოქმედებაზეც შესაძლებელია იმოქმედოს აღნიშნულმა ელექტრომაგნიტურმა ხელშეშლამ;

- (2) 'მობილური დანადგარები' ნიშნავს აპარატების ერთობლიობას, ან არსებული გარემოებიდან გამომდინარე, სხვა მოწყობილობებს, რომლებიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ადგილებში გადატანისა და ექსპლუატაციისთვის.

მუხლი 4

გაყიდვაში ჩაშვება და/ან ექსპლუატაციაში გაშვება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მიმართავენ ყოველგვარ ზომას, რათა უზრუნველყონ მოწყობილობების გაყიდვაში ჩაშვება და/ან ექსპლუატაციაში გაშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოწყობილობები აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს სათანადოდ დამონტაჟებასთან, ტექნიკურ მომსახურებასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებით.

მუხლი 5

მოწყობილობების თავისუფალი მოძრაობა

1. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, ელექტრომაგნიტური თავსებადობის საფუძველზე, არ უნდა შეუშალონ ხელი მათ სახელმწიფო ტერიტორიებზე წინამდებარე დირექტივის შესაბამისი მოწყობილობების გაყიდვაში ჩაშვებას და/ან ექსპლუატაციაში გაშვებას.
2. წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული მოთხოვნები ხელს არ უნდა უშლიდეს მოწყობილობების ექსპლუატაციაში გაშვებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული შემდეგი საგანგებო ზომების მიღებას ევროკავშირის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოში:
 - (ა) ზომები, რომლებიც გამოიყენება განსაზღვრულ ადგილზე ელექტრომაგნიტურ თავსებადობასთან დაკავშირებით არსებული ან სავარაუდო პრობლემების გადაჭრის მიზნით;
 - (ბ) უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მიღებული ზომები საზოგადოებრივი სატელეკომუნიკაციო ქსელების დაცვის ან დანადგარების მიღების ან გადაცემის მიზნით, როდესაც ადგილი აქვს მათი უსაფრთხოების მიზნებისთვის გამოყენებას სიხშირეთა შესაბამის დიაპაზონში კარგად განსაზღვრულ გარემოში.

ტექნიკური სტანდარტებისა და რეგულაციების სფეროში ინფორმაციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურის შესახებ ევროკავშირისა და

საბჭოს 1998 წლის 22 ივნისის 98/34/EC დირექტივით⁵ გათვალისწინებული პირობების დაურღვევლად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ აღნიშნული საგანგებო ზომების შესახებ კომისიასა და ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს.

კომისია გამოაქვეყნებს მიღებულ სპეციალურ ზომებს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

3. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები არ შეაფერხებენ იმ მოწყობილობების ჩვენებას და/ან გამოფენას ბაზრობებზე, გამოფენებზე ან მსგავს ღონისძიებებზე, რომლებიც არ შეესაბამება წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებს იმ პირობით, თუ მითითებული იქნება თვალსაჩინო ნიშანი, რომ აღნიშნული მოწყობილობა შესაძლებელია განთავსდეს ბაზარზე და/ან ჩაშვებულ იქნას ექსპლუატაციაში მხოლოდ მათი წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში. დემონსტრირებას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუ მიიღება შესაბამისი ზომები ელექტრომაგნიტური ხელშეშლის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 6

ძირითადი მოთხოვნები

მოწყობილობები უნდა აკმაყოფილებდეს I დანართით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებს.

თავი 2

ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებები

მუხლი 7

მწარმოებლების ვალდებულებები

1. ბაზარზე საკუთარი აპარატურის განთავსებისას, მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული აპარატურის I დანართით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად დაპროექტება და წარმოება.
2. მწარმოებლებმა უნდა შეიმუშავონ II დანართით ან III დანართით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაცია და სისრულეში მოიყვანონ ან დანერგონ მე-14 დანართში წარმოდგენილი შესაბამისობის შეფასების პროცედურა.

იმ შემთხვევაში, თუ აპარატურის შესაბამისობა მოქმედ მოთხოვნებთან ნაჩვენები იქნება აღნიშნული პროცედურით, მწარმოებლებმა უნდა შეიმუშავონ EU შესაბამისობის დეკლარაცია და მიუთითონ CE მარკირება.

⁵ ოფიციალური ჟურნალი L 204, 21.7.1998 წ., გვ. 37.

3. მწარმოებლებმა უნდა შეინახონ ტექნიკური დოკუმენტაცია და EU შესაბამისობის დეკლარაცია აპარატურის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში.
4. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ სერიული წარმოების პროცედურების შესაბამისობა წინამდებარე დირექტივასთან. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ცვლილებები აპარატურის პროექტში ან მახასიათებლებში და ცვლილებები ჰარმონიზებულ სტანდარტებში ან ნებისმიერ სხვა ტექნიკურ სპეციფიკაციაში, რომლის საფუძველზეც ხდება აპარატურის შესაბამისობის განცხადება.
5. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებულ აპარატურაზე მითითებული იყოს ტიპის, პარტიის ან სერიული ნომერი ან სხვა ელემენტი, რაც იძლევა მათი იდენტიფიცირების შესაძლებლობას, ხოლო თუ აღნიშნულის საშუალებას არ იძლევა აპარატურის ზომა ან მახასიათებლები, აუცილებელი ინფორმაცია მითითებული უნდა იქნას შეფუთვაზე ან აპარატურის თანმხლებ დოკუმენტაციაში.
6. მწარმოებლებმა აპარატურაზე უნდა მიუთითონ მათი დასახელება, რეგისტრირებული სავაჭრო დასახელება ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და საფოსტო მისამართი, რომელზეც შესაძლებელი იქნება მათთან დაკავშირება, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ინფორმაციის მითითება უნდა მოხდეს შეფუთვაზე ან აპარატურის თანმხლებ დოკუმენტაციაში. მისამართი უნდა ითვალისწინებდეს ერთ ადგილს, რომელზეც შესაძლებელი იქნება მწარმოებელთან დაკავშირება. საკონტაქტო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს საბოლოო მომხმარებლებისა და ბაზრის ზედამხედველი ორგანოებისთვის ადვილად გასაგებ ენაზე.
7. მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აპარატურას თან ახლდეს ინსტრუქციები და მე-18 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია კლიენტებისა და სხვა საბოლოო მომხმარებლებისთვის ადვილად გასაგებ ენაზე, რომელსაც განსაზღვრავს ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფო. აღნიშნული ინსტრუქციები და ინფორმაცია, ასევე ნებისმიერი მარკირება უნდა იყოს მითითებული გარკვევით, გასაგებად და ადვილად წაკითხვადი ფორმით.
8. მწარმოებლებმა, რომელთაც მიაჩნიათ ან აქვთ საფუძველი იმისა, ივარაუდონ, რომ მათ მიერ ბაზარზე წარმოდგენილი აპარატურა არ შეესაბამება წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ მაკორექტირებელ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელი იქნება აპარატურის შესაბამისობაში მოსაყვანად, უნდა მოახდინონ მათი გამოთხოვა ან ამოღება ბაზრიდან, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ აპარატურა წარმოადგენს საფრთხეს, მწარმოებლებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ აღნიშნულის შესახებ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს, რომელთა ბაზარზეც წარმოდგენილი აქვთ საკუთარი

აპარატურა, კერძოდ, უნდა მიაწოდონ მათ შეუსაბამობის ან მიღებული მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

9. კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, მწარმოებლებმა უნდა მიაწოდონ მას ყოველგვარი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით, რაც აუცილებელი იქნება წინამდებარე დირექტივასთან აპარატურის შესაბამისობის საჩვენებლად, შესაბამისი ორგანოს მიერ აღვილად გასაგები ფორმით. მათ უნდა ითანამშრომლონ აღნიშნულ ორგანოსთან, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც აუცილებელი იქნება მათ მიერ ბაზარზე განთავსებული აპარატურის მიერ წარმოდგენილი საფრთხის აღმოსაფხვრელად.

მუხლი 8

უფლებამოსილი წარმომადგენლები

1. მწარმოებელს შეუძლია წერილობითი მინდობილობის საფუძველზე დანიშნოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

7(1) მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება და 7(2) მუხლში მითითებული ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის ვალდებულება არ შედის უფლებამოსილი წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებში.

2. უფლებამოსილმა წარმომადგენელმა სისრულეში უნდა მოიყვანოს მწარმოებლისგან მიღებულ მინდობილობაში მითითებული დავალებები. მინდობილობის საფუძველზე უფლებამოსილ წარმომადგენელს ენიჭება მინიმუმ შემდეგი ქმედებების სისრულეში მოყვანის უფლება:

- (ა) EU შესაბამისობის დეკლარაციის და ტექნიკური დოკუმენტაციის უზრუნველყოფა ბაზრის ზედამხედველი სახელმწიფო ორგანოების განკარგულებაში, აპარატურის გაყიდვაში ჩაშვებიდან 10 წლის განმავლობაში;
- (ბ) კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსგან მიღებული დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული ორგანოს მიმართ ყოველგვარი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდება, რაც აუცილებელი იქნება აპარატურის შესაბამისობის საჩვენებლად;
- (გ) კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობა, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, უფლებამოსილი წარმომადგენლის მინდობილობის ფარგლებში გათვალისწინებული აპარატურის მიერ შექმნილი საფრთხის აღმოსაფხვრის მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისას.

მუხლი 9

იმპორტიორების ვალდებულებები

1. იმპორტიორებმა ბაზარზე უნდა განათავსონ მხოლოდ სათანადო აპარატურა.
2. ბაზარზე აპარატურის განთავსებამდე, იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ მე-14 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების პროცედურების სისრულეში მოყვანა მწარმოებლის მიერ. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მწარმოებელმა შეიმუშავოს ტექნიკური დოკუმენტაცია, აპარატურაზე მითითებული იყოს CE მარკირება და თან ახლდეს აუცილებელი დოკუმენტაცია, ასევე მწარმოებელი აკმაყოფილებდეს 7(5) და (6) მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
იმ შემთხვევაში, თუ იმპორტიორს მიაჩნია ან აქვს საფუძველი იმისა, ივარაუდოს, რომ აპარატურა არ შეესაბამება I დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მან არ უნდა განათავსოს აპარატურა ბაზარზე, სანამ არ მოხდება აპარატურის შესაბამისობაში მოყვანა. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ აპარატურა წარმოადგენს საფრთხეს, იმპორტიორი შეატყობინებს აღნიშნულის შესახებ მწარმოებელს და ბაზრის ზედამხედველ ორგანოებს.
3. იმპორტიორებმა აპარატურაზე უნდა მიუთითონ მათი დასახელება, რეგისტრირებული სავაჭრო დასახელება ან რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი და საფოსტო მისამართი, რომელზეც შესაძლებელი იქნება მათთან დაკავშირება, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ინფორმაციის მითითება უნდა მოხდეს შეფუთვაზე ან აპარატურის თანმხლებ დოკუმენტაციაში. საკონტაქტო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს საბოლოო მომხმარებლებისა და ბაზრის ზედამხედველი ორგანოებისთვის ადვილად გასაგებ ენაზე.
4. იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აპარატურას თან ახლდეს ინსტრუქციები და მე-18 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია კლიენტებისა და სხვა საბოლოო მომხმარებლებისთვის ადვილად გასაგებ ენაზე, რომელსაც განსაზღვრავს ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფო.
5. იმ დროის განმავლობაში, როდესაც აპარატურა წარმოდგენილი იქნება მათი პასუხისმგებლობის ქვეშ, იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აპარატურის შენახვის ან ტრანსპორტირების პირობებმა არ შეუქმნას საფრთხეს მის შესაბამისობას I დანართით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებთან.
6. იმპორტიორებმა, რომელთაც მიაჩნიათ ან აქვთ საფუძველი იმისა, ივარაუდონ, რომ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული აპარატურა არ შეესაბამება წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ მაკორექტირებელ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელი იქნება აპარატურის შესაბამისობაში მოსაყვანად, უნდა მოახდინონ მათი გამოთხოვა ან ამოღება ბაზრიდან, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ აპარატურა წარმოადგენს საფრთხეს, იმპორტიორებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ აღნიშნულის შესახებ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ

სახელმწიფო ორგანოებს, რომელთა ბაზარზეც წარმოდგენილი აქვთ აპარატურა, კერძოდ, უნდა მიაწოდონ მათ შეუსაბამობის ან მიღებული მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

7. იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ EU შესაბამისობის დეკლარაციის ასლის შენახვა ბაზრის ზედამხედველი ორგანოების განკარგულებაში აპარატურის ბაზარზე განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში, ასევე ტექნიკური დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა აღნიშნული ორგანოებისთვის, მათი მოთხოვნისამებრ.
8. კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, იმპორტიორებმა უნდა მიაწოდონ მას ყოველგვარი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით, რაც აუცილებელი იქნება წინამდებარე დირექტივასთან აპარატურის შესაბამისობის საჩვენებლად, შესაბამისი ორგანოს მიერ ადვილად გასაგები ფორმით. მათ უნდა ითანამშრომლონ აღნიშნულ ორგანოსთან, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც აუცილებელი იქნება მათ მიერ ბაზარზე განთავსებული აპარატურის მიერ წარმოდგენილი საფრთხის აღმოსაფხვრელად.

მუხლი 10

დისტრიბუტორების ვალდებულებები

1. აპარატურის გაყიდვაში ჩაშვებისას, დისტრიბუტორებმა უნდა იმოქმედონ სათანადო სიფრთხილის ზომების დაცვით წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით.
2. აპარატურის გაყიდვაში ჩაშვებამდე, დისტრიბუტორებმა უნდა შეამოწმონ, რომ აპარატურაზე მითითებული იყოს CE მარკირება, თან ახლდეს აუცილებელი დოკუმენტაცია და ინსტრუქციები, ასევე მე-18 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოებში კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისთვის ადვილად გასაგებ ენაზე, სადაც ხდება აპარატურის რეალიზაცია, ასევე მწარმოებელი და იმპორტიორი აკმაყოფილებენ 7(5) და (6) მუხლითა და 9(3) მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

იმ შემთხვევაში, თუ დისტრიბუტორს მიაჩნია ან აქვს საფუძველი იმისა, ივარაუდოს, რომ აპარატურა არ შეესაბამება I დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მან არ უნდა ჩაუშვას აპარატურა გაყიდვაში, სანამ არ მოხდება აპარატურის შესაბამისობაში მოყვანა. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ აპარატურა წარმოადგენს საფრთხეს, დისტრიბუტორი შეატყობინებს აღნიშნულის შესახებ მწარმოებელს ან იმპორტიორს, ასევე ბაზრის ზედამხედველ ორგანოებს.

3. იმ დროის განმავლობაში, როდესაც აპარატურა წარმოდგენილი იქნება მათი პასუხისმგებლობის ქვეშ, დისტრიბუტორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ

აპარატურის შენახვის ან ტრანსპორტირების პირობებმა არ შეუქმნას საფრთხე მის შესაბამისობას I დანართით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებთან.

4. დისტრიბუტორებმა, რომელთაც მიაჩნიათ ან აქვთ საფუძველი იმისა, ივარაუდონ, რომ მათ მიერ გაყიდვაში ჩაშვებული აპარატურა არ შეესაბამება წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ მაკორექტირებელ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელი იქნება აპარატურის შესაბამისობაში მოსაყვანად, უნდა მოახდინონ მათი გამოთხოვა ან ამოღება ბაზრიდან, არსებული გარემოებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ აპარატურა წარმოადგენს საფრთხეს, დისტრიბუტორებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ აღნიშნულის შესახებ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს, რომელთა ბაზარზეც წარმოდგენილი აქვთ აპარატურა, კერძოდ, უნდა მიაწოდონ მათ შეუსაბამობის ან მიღებული მაკორექტირებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.
5. კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, დისტრიბუტორებმა უნდა მიაწოდონ მას ყოველგვარი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით, რაც აუცილებელი იქნება აპარატურის შესაბამისობის საჩვენებლად. მათ უნდა ითანამშრომლონ აღნიშნულ ორგანოსთან, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც აუცილებელი იქნება მათ მიერ გაყიდვაში ჩაშვებული აპარატურის მიერ წარმოდგენილი საფრთხის აღმოსაფხვრელად.

მუხლი 11

შემთხვევები, როდესაც მწარმოებლების ვალდებულებები მოქმედებს იმპორტიორებისა და დისტრიბუტორების მიმართ

იმპორტიორი ან დისტრიბუტორი შესაძლებელია ჩაითვალოს მწარმოებლად წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის და მასზე გავრცელდება მე-7 მუხლით გათვალისწინებული მწარმოებლის ვალდებულებები, რა შემთხვევაშიც იგი მოახდენს ბაზარზე პროდუქციის განთავსებას საკუთარი სახელით ან სავაჭრო ნიშნით ან შეცვლის უკვე გაყიდვაში არსებულ აპარატურას იმ გზით, რომელმაც შესაძლებელია იმოქმედოს წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობაზე.

მუხლი 12

ეკონომიკური ოპერატორების იდენტიფიცირება

მოთხოვნის შემთხვევაში ეკონომიკური ოპერატორები მოახდენენ შემდეგი მონაცემების იდენტიფიკაციას ბაზრის ზედამხედველი ორგანოების მიმართ:

- (ა) ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიმართ აპარატურის მიწოდებას;

(ბ) ნებისმიერი ეკონომიკური ოპერატორი, რომლის მიმართაც ისინი უზრუნველყოფენ აპარატურის მიწოდებას.

ეკონომიკურ ოპერატორებს უნდა შეეძლოთ პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენა მათთვის აპარატურის მიწოდებიდან 10 წლის განმავლობაში და ასევე მათ მიერ აპარატურის მიწოდებიდან 10 წლის განმავლობაში.

თავი 3

მოწყობილობების შესაბამისობა

მუხლი 13

მოწყობილობების შესაბამისობის პრეზუმპცია

დამტკიცებულია, რომ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისი მოწყობილობები ან მათი ნაწილი, რომელთა შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში, შეესაბამება ზემოაღნიშნული სტანდარტებით ან მათი ნაწილით გათვალისწინებულ, I დანართში წარმოდგენლ ძირითად მოთხოვნებს.

მუხლი 14

აპარატურასთან დაკავშირებით შესაბამისობის შეფასების პროცედურები

აპარატურის შესაბამისობა I დანართით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებთან ნაჩვენებია შესაბამისობის შეფასების ერთერთი შემდეგი პროცედურით:

- (ა) II დანართით გათვალისწინებული შიდა წარმოების კონტროლი;
- (ბ) EU ტიპის შემოწმება, რასაც მოჰყვება ტიპთან შესაბამისობა III დანართით გათვალისწინებულ შიდა წარმოების კონტროლის საფუძველზე.

მწარმოებელს შეუძლია შეზღუდოს პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენება არსებითი მნიშვნელობის მქონე ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით იმ პირობით, რომ ძირითადი მოთხოვნების სხვა ასპექტების მიმართ გამოიყენება პირველი პუნქტის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურა.

მუხლი 15

EU შესაბამისობის დეკლარაცია

1. EU შესაბამისობის დეკლარაცია უნდა ითვალისწინებდეს I დანართში წარმოდგენილი ძირითადი მოთხოვნების სისრულეში მოყვანას.
2. EU შესაბამისობის დეკლარაცია წარმოდგენილი უნდა იყოს IV დანართში მითითებული მოდელის სახით, უნდა შეიცავდეს II და III დანართებში გათვალისწინებულ შესაბამის მოდულებში მითითებულ ელემენტებს და უნდა ექვემდებარებოდეს უწყვეტ განახლებას. იგი უნდა ითარგმნოს ევროკავშირის იმ

წევრი სახელმწიფოების მიერ მოთხოვნილ ენაზე ან ენებზე, რომელთა ბაზარზეც წარმოდგენილია აპარატურა ან ჩაშვებულია გაყიდვაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ აპარატურა ექვემდებარება ევროკავშირის ერთზე მეტ აქტს, რომელიც ითვალისწინებს EU შესაბამისობის დეკლარაციის აუცილებლობას, უნდა შეიქმნას EU შესაბამისობის ერთიანი დეკლარაცია ევროკავშირის ყველა აღნიშნულ აქტთან დაკავშირებით. ეს დეკლარაცია უნდა მოიცავდეს ევროკავშირის შესაბამისი აქტების იდენტიფიკაციას, მათი გამოქვეყნების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.
4. EU შესაბამისობის დეკლარაციის შემუშავებით, მწარმოებელი კისრულებს ვალდებულებას აპარატურის წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

მუხლი 16

CE მარკირების ზოგადი პრინციპები

CE მარკირება ექვემდებარება (EC) №765/2008 რეგლამენტის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად პრინციპებს.

მუხლი 17

CE მარკირების მითითებასთან დაკავშირებული წესები და პირობები

1. CE მარკირების მითითება უნდა მოხდეს თვალსაჩინო, ადვილად წაკითხვადი და წაუშლელი ფორმით აპარატურაზე ან მისი მონაცემების ფირფიტაზე. აპარატურის მახასიათებლებიდან გამომდინარე აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი მითითება უნდა მოხდეს შეფუთვისა და თანდართულ დოკუმენტაციაზე.
2. CE მარკირების მითითება უნდა მოხდეს აპარატურის ბაზარზე განთავსებამდე.
3. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები გამოიყენებენ ყოველგვარ მეთოდს, რათა უზრუნველყონ CE მარკირების მარეგულირებელი რეჟიმის სწორად ჩამოყალიბება და მიმართავენ შესაბამის ზომას აღნიშნული მარკირების არასათანადოდ გამოყენების შემთხვევაში.

მუხლი 18

აპარატურის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1. აპარატურას თან უნდა ახლდეს ინფორმაცია ნებისმიერი საგანგებო სიტუაციის ზომის შესახებ, რომელთა მიღებაც უნდა მოხდეს აპარატურის აწყობის, დამონტაჟების, ტექნიკური მომსახურების ან გამოყენების შემდგომ, რათა ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ აპარატურა აკმაყოფილებდეს I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებს.

2. აპარატურას, რომელთან დაკავშირებითაც შესაბამისობა I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებთან არ არის უზრუნველყოფილი დასახლებულ არეალებში, თან უნდა ახლდეს გამოყენებასთან დაკავშირებით ამგვარი შეზღუდვის თვალსაჩინო მითითება შეფუთვაზე, საჭიროების შემთხვევაში.
3. დანიშნულების შესაბამისად გამოსაყენებელი აპარატურის ექსპლუატაციისთვის საჭირო ინფორმაცია გათვალისწინებული უნდა იქნას აპარატურის თანმხლებ ინსტრუქციებში.

მუხლი 19

სტაციონარული დანადგარები

1. წინამდებარე დირექტივაში აპარატურის შესახებ წარმოდგენილი ყველა დებულება მოქმედებს იმ აპარატურასთან დაკავშირებით, რომელიც ჩაშვებულა გაყიდვაში და რომელიც შესაძლებელია ინტეგრირებული იქნას სტაციონარულ დანადგარებში.

თუმცა, 6-12 მუხლებითა და 14-18 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ არის სავალდებულო იმ აპარატურასთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტულ სტაციონარულ დანადგარში ინტეგრირებისთვის და არ არის წარმოდგენილი გაყიდვაში.

აღნიშნულ შემთხვევებში, თანდართულ დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს სტაციონარული დანადგარი და მისი ელექტრომაგნიტური თავსებადობის მახასიათებლები, ასევე ის სიფრთხილის ზომები, რომელთა მიღებაც უნდა მოხდეს აპარატურის სტაციონარულ დანადგარებში ინტეგრირების მიზნით, რათა საფრთხე არ შეექმნას აღნიშნული დანადგარის უსაფრთხოებას. მასში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას 7(5) და (6) მუხლებით და 9(3) მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია.

I დანართის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კარგი ტექნიკური პრაქტიკა წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტური სახით და აღნიშნული დოკუმენტაცია უზრუნველყოფილი უნდა იქნას პასუხისმგებელი პირისა თუ პირების მიერ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების განკარგულებაში, მათი შემოწმების მიზნით, სანამ სტაციონარული დანადგარი იმყოფება საექსპლუატაციო მდგომარეობაში.

2. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ სტაციონარული დანადგარი არ შეესაბამება წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, წარმოდგენილი იქნება საჩივარი დანადგარით გამოწვეულ ხელშემშლასთან დაკავშირებით, ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ სტაციონარული დანადგარის შესაბამისობის დადასტურება და, აუცილებლობის შემთხვევაში, საინსპექციო კონტროლის ჩატარება.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სტაციონარული დანადგარი არ შეესაბამება დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ შეიმუშაონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ სტაციონარული დანადგარის შესაბამისობაში მოყვანა I დანართით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებთან.

3. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ აუცილებელ დებულებებს იმ პირის ან პირების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც პასუხს აგებენ ძირითად მოთხოვნებთან სტაციონარული დანადგარის შესაბამისობის დადგენაზე.

თავი 4

შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების შეტყობინებია

მუხლი 20

შეტყობინებია

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეატყობინონ ევროკომისიას და ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს უფლებამოსილი ორგანოების შესახებ, რათა წინამდებარე დირექტივის ფარგლებში განხორციელდეს მესამე მხარის შესაბამისობის შეფასება.

მუხლი 21

შეტყობინებების ორგანოები

1. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ შეტყობინებების ორგანოს, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიმართ აუცილებელი პროცედურების შემუშავებასა და განხორციელებაზე და შემფასებელი ორგანოების მონიტორინგზე, ასევე 26-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების სისრულეში მოყვანაზე.
2. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება, რომ პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასება და მონიტორინგი განხორციელდეს აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ (EC) №765/2008 რეგლამენტის ფარგლებში და მის შესაბამისად.
3. იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინებების ორგანო გადასცემს უფლებამოსილებას ან რაიმე სხვა გზით მიაწოდებს პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების, შეტყობინებების ან მონიტორინგის ვალდებულებას იმ ორგანოს, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო უწყებას, აღნიშნული ორგანო უნდა წარმოადგენდეს იურიდიულ პირს და ამასთანავე უნდა აკმაყოფილებდეს 22-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გარდა ამისა, იგი უნდა მოიცავდეს მისი საქმიანობის საფუძველზე წარმომოხილველი პასუხისმგებლობის გათვალისწინების პირობას.

4. შეტყობინების ორგანოებმა უნდა იკისრონ სრული პასუხისმგებლობა მე-3 პუნქტში მითითებული ორგანოს მიერ შესრულებულ დავალებებზე.

მუხლი 22

შეტყობინების ორგანოების მიმართ არსებული მოთხოვნები

1. შეტყობინების ორგანო უნდა ჩამოყალიბდეს იმ გზით, რომ არ იმყოფებოდეს ინტერესთა კონფლიქტში შესაბამისობის შემფასებელი ორგანოებთან.
2. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები უნდა ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებდეს იმ სახით, რომ დაცული იყოს მისი საქმიანობის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.
3. ნოტიფიცირების ორგანოების საქმიანობის ორგანიზება უნდა მოხდეს იმ გზით, რომ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ნოტიფიცირებასთან დაკავშირებული ყოველი გადაწყვეტილება მიღებულ იქნას კომპეტენტური პირის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს შეფასების შემსრულებელ ორგანოს.
4. შეტყობინების ორგანოებმა არ უნდა წარმოადგინონ ისეთი შეთავაზება ან სისრულეში მოიყვანონ ისეთი მოქმედება, რომ შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს მოუწიოთ საკონსულტაციო მომსახურების გაწევა კომერციულ ან კონკურენტულ საფუძველზე.
5. შეტყობინების ორგანომ უნდა დაიცვას მის მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.
6. შეტყობინების ორგანო თავის შემადგენლობაში უნდა აერთიანებდეს საკმარისი რაოდენობის კომპეტენტურ პერსონალს ნაკისრი დავალებების ჯეროვნად შესრულების მიზნით.

მუხლი 23

შეტყობინების ორგანოებზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაკისრება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მიაწვდიან ინფორმაციას ევროკომისიას მათ მიერ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების მიმართ შეფასებასა და შეტყობინების, ასევე შემფასებელი ორგანოების მონიტორინგის მიზნით შესრულებულ პროცედურებსა და აღნიშნულ პროცედურებში განხორციელებულ ნებისმიერ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ევროკომისია უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაჯაროებას.

მუხლი 24

შემფასებელ ორგანოებთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. შეტყობინების მიზნებისთვის, შესაბამისობის შემფასებელი ორგანო უნდა აკმაყოფილებდეს 2-11 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო უნდა ჩამოყალიბდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის თანახმად და უნდა წარმოადგენდეს იურიდიულ პირს.
3. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო უნდა წარმოადგენდეს მესამე მხარეს, რომელიც არ იქნება დამოკიდებული ორგანიზაციაზე ან მის მიერ შესაფასებელ აპარატურაზე.

ამგვარ ორგანოდ შესაძლებელია ჩაითვალოს ორგანო, რომელიც მიეკუთვნება ბიზნეს ასოციაციას ან პროფესიულ გაერთიანებას და ასრულებს მის მიერ შესაფასებელი აპარატურის დაპროექტებასთან, წარმოებასთან, უზრუნველყოფასთან, დამონტაჟებასთან, გამოყენებასა და შეკეთებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს იმ პირობით, თუ იგი დაადასტურებს მის დამოუკიდებლობას და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას.

4. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო, მისი ხელმძღვანელობა და შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული დავალებების სისრულეში მოყვანაზე პასუხისმგებელი პერსონალი არ უნდა წარმოადგენდეს მათ მიერ შესაფასებელი აპარატურის დამპროექტებელს, მწარმოებელს, მიმწოდებელს, მემონტაჟეს, შემსყიდველს, მესაკუთრეს, მომხმარებელს ან შემკეთებელს, ასევე არც აღნიშნული მხარეების წარმომადგენელს. მოცემული პირობა არ გამორიცხავს შეფასებული აპარატურის გამოყენებას, რაც აუცილებელი იქნება შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ოპერაციებისთვის ან აპარატურის ექსპლუატაციას პირადი მიზნებისთვის.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანო, მისი ხელმძღვანელობა და შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული დავალებების სისრულეში მოყვანაზე პასუხისმგებელი პერსონალი არ უნდა იყოს უშუალოდ ჩართული აპარატურის დაპროექტებაში, წარმოებასა თუ კონსტრუირებაში, რეალიზაციაში, მონტაჟში, ექსპლუატაციაში ან შეკეთებაში, ან წარმოადგენდეს აღნიშნულ ქმედებებში ჩართული მხარეების წარმომადგენელს. ისინი არ უნდა იყვნენ ჩართულნი ისეთ საქმიანობაში, რომელიც შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ობიექტურობას ან ერთიანობას იმ შესაბამისობის შეფასების ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც ისინი იყვნენ ინფორმირებულნი.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები უზრუნველყოფენ, რომ მათი შვილობილი კომპანიების ან სუბკონტრაქტორების მიერ განხორციელებული ქმედებები უარყოფითად არ აისახოს მათ მიერ შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებით მიღებული ღონისძიებების კონფიდენციალობაზე, ობიექტურობასა თუ მიუკერძოებლობაზე.

5. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები და მათი პერსონალი სისრულეში მოიყვანს შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს უმაღლესი დონის პროფესიონალიზმითა და აუცილებელი ტექნიკური კომპეტენციის ფარგლებში კონკრეტულ სფეროში, და გათავისუფლდება იმ წნეხისა და დატვირთვისგან, განსაკუთრებით ფინანსურისგან, რომელმაც შესაძლებელია ზემოქმედება მოახდინოს მათ გადაწყვეტილებებზე ან მათი შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების შედეგებზე, განსაკუთრებით იმ პირებისა თუ პირთა ჯგუფების მიმართ, რომელთაც გააჩნიათ ინტერესი აღნიშნული ღონისძიებების შედეგებში.

6. შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს უნდა შეეძლოს მის მიმართ III დანართის ფარგლებში მინიჭებული შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული დავალებების სისრულეში მოყვანა, რომელთა შესახებაც იგი იქნა შემფასებელი, იმის მიუხედავად აღნიშნული დავალებები შესრულდა თუ არა თავად შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ ან მისი სახელითა თუ მისი პასუხისმგებლობის ქვეშ.

ყოველთვის და თითოეულ შესაბამისობის შეფასების პროცედურასთან, ასევე აპარატურის ყოველ კატეგორიასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც მოხდება მისი ნოტიფიცირება, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს განკარგულებაში წარმოდგენილი უნდა იყოს აუცილებელი:

- (ა) პერსონალი ტექნიკური ცოდნითა და საკმარისი და სათანადო გამოცდილებით შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული დავალებების სისრულეში მოსაყვანად;
- (ბ) იმ პროცედურების აღწერილობა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა შესაბამისობის შეფასება, აღნიშნული პროცედურების გამჭვირვალობისა და რეპროდუცირების შესაძლებლობის უზრუნველყოფით. მან უნდა დანერგოს სათანადო პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც განსხვავდება მის, როგორც შემფასებელი ორგანოს მიერ შესრულებული დავალებებისა და სხვა ქმედებების მიხედვით;
- (გ) ღონისძიებების შესრულების პროცედურები, ვალდებულების მასშტაბის, მისი ოპერირების სექტორის, მისი სტრუქტურის, შესაბამისი აპარატურის ტექნოლოგიის კომპლექსურობის ხარისხისა და წარმოების პროცესის მასიურობის ან სერიულობის გათვალისწინებით.

შესაბამისობის შემფასებელი ორგანო უნდა ფლობდეს შესაბამისობის შეფასების ღონისძიებებთან დაკავშირებული ტექნიკური და ადმინისტრაციული დავალებების სისრულეში მოსაყვანად აუცილებელ საშუალებებს და უნდა სარგებლობდეს წვდომით აუცილებელ მოწყობილობებთან ან დანადგარებთან.

7. შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული დავალებების შემსრულებელ პერსონალს:

- (ა) გავლილი უნდა ჰქონდეს სათანადო ტექნიკური და პროფესიული სწავლება, რაც მოიცავს შესაბამისობის შეფასების ღონისძიებებს, რომლებთან დაკავშირებითაც ადგილი ჰქონდა შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ნოტიფიცირებას;
- (ბ) მიღებული უნდა ჰქონდეს ცოდნა მათ მიერ განხორციელებულ შეფასებებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და ამ შეფასებების შესრულების სათანადო უფლებამოსილების დამაკმაყოფილებელ დონეზე;
- (გ) უნდა ფლობდეს სათანადო ცოდნას I დანართში გათვალისწინებული მნიშვნელოვანი მოთხოვნების, მოქმედი ჰარმონიზებული სტანდარტების, ჰარმონიზაციის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობისა და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების შესახებ;
- (დ) უნდა შეეძლოს შეფასების შესრულების ამსახველი მოწმობების, ჩანაწერებისა და ანგარიშების შედგენა.
8. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების, მათი ხელმძღვანელობის და შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული დავალებების სისრულეში მოყვანაზე პასუხისმგებელი პერსონალის მიუკერძოებლობა უნდა იყოს გარანტირებული.
- შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ხელმძღვანელობისა და შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული დავალებების სისრულეში მოყვანაზე პასუხისმგებელი პერსონალი არ უნდა იყოს დამოკიდებული შესრულებული შეფასებების რაოდენობაზე ან აღნიშნული შეფასებების შედეგებზე.
9. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები მიმართავენ პასუხისმგებლობის დაზღვევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, სახელმწიფო კანონმდებლობის თანახმად, ან თავად ევროკავშირის წევრი სახელმწიფო აგებს პასუხს შესაბამისობის შეფასებაზე.
10. შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს პერსონალმა უნდა დაიცვას მათ მიერ III დანართით გათვალისწინებული ან სახელმწიფო კანონმდებლობის ნებისმიერი დებულების ფარგლებში წარმოდგენილი დავალებების შესრულებისას მიღებული ინფორმაციის პროფესიული საიდუმლოება, გარდა ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან დაკავშირებული ინფორმაციისა, რომელშიც იგი ეწევა საქმიანობას. აუცილებელია საკუთრების უფლების დაცვა.
11. შესაბამისობის შემფასებელმა ორგანოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ან უზრუნველყონ, რომ შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული დავალებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიეწოდოს ინფორმაცია შესაბამისი სტანდარტიზაციის ღონისძიებებისა და ჰარმონიზაციის შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე დაფუძნებული შემფასებელი ორგანოს საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებით და ზოგადი

ინსტრუქტაჟის სახით უნდა მიმართონ აღნიშნული ჯგუფის საქმიანობის შედეგად მიღებულ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებსა და შემუშავებულ დოკუმენტებს.

მუხლი 25

შემფასებელი ორგანოების შესაბამისობის პრეზუმპცია

იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისობის შემფასებელი ორგანო მოახდენს მის მიერ ჰარმონიზებულ სტანდარტებში ან მათ ნაწილებში, რომლებიც გათვალისწინებულია ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში, წარმოდგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დემონსტრირებას, ჩაითვლება, რომ იგი აკმაყოფილებს 24-ე მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, ვინაიდან ჰარმონიზებული სტანდარტები მოიცავს აღნიშნულ მოთხოვნებს.

მუხლი 26

შემფასებელი ორგანოების შვილობილი კომპანიები და ქვებელშეკრულებების გაფორმება

1. იმ შემთხვევაში, თუ ნოტოფიცირებული ორგანო ქვებელშეკრულების საფუძველზე გადასცემს შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ დავალებებს ან დახმარებისთვის მიმართავს შვილობილ კომპანიას, მან უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეკონტრაქტორი ან შვილობილი კომპანია აკმაყოფილებდეს 24-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესაბამისად მოახდენს შეტყობინების ორგანოს ინფორმირებას.
2. შემფასებელი ორგანოები კისრულობენ სრულ პასუხისმგებლობას ქვეკონტრაქტორების ან შვილობილი კომპანიების მიერ შესრულებულ დავალებებზე.
3. ქმედებების ქვებელშეკრულებით გადაცემა ან სისრულეში მოყვანა შვილობილი კომპანიის მიერ დასაშვებია მხოლოდ მომხმარებელთან შეთანხმებით.
4. შემფასებელმა ორგანომ უნდა გადასცენ შეტყობინების ორგანოს ქვეკონტრაქტორის ან შვილობილი კომპანიის კვალიფიკაციის დამადასტურებელი, ასევე III დანართის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

მუხლი 27

შეტყობინების განაცხადი

1. შესაბამისობის შემფასებელი ორგანო წარუდგენს შეტყობინების განაცხადს ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს შეტყობინების ორგანოს, რომელშიც იგი არის დაფუძნებული.

2. შეტყობინების განაცხადს თან უნდა ახლდეს შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების, შესაბამისობის შეფასების მოდულის ან მოდულების და იმ აპარატურის აღწერილობა, რომელთან დაკავშირებითაც აღნიშნული ორგანო ამტკიცებს მის კომპეტენტურობას, ასევე აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ გაცემული აკრედიტაციის მოწმობა, რომლის საფუძველზეც დასტურდება შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს მიერ 24-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.
3. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისობის შემფასებელ ორგანოს არ შეუძლია წარმოადგინოს აკრედიტაციის მოწმობა, იგი მიაწვდის შეტყობინების ორგანოს ყოველგვარ დოკუმენტურ მტკიცებულებას, რაც აუცილებელი იქნება 24-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შემოწმების, აღიარებისა და რეგულარული მონიტორინგის მიზნით.

მუხლი 28

შეტყობინების პროცედურა

1. შეტყობინების ორგანოებს შეუძლიათ მიაწოდონ შეტყობინებია მხოლოდ იმ შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ 24-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. ისინი მიაწვდიან შეტყობინებას ევროკომისიას და ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც სარგებლობენ ევროკომისიის მიერ შემუშავებული და მართული ელექტრონული შეტყობინების ინსტრუმენტით.
3. შეტყობინებია უნდა ითვალისწინებდეს დეტალურ ინფორმაციას შესაბამისობის შეფასების ღონისძიებების, შესაბამისობის შეფასების მოდულის ან მოდულების და სათანადო აპარატურისა და შესაბამისი კომპეტენციის ატესტაციის შესახებ.
4. იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინებია არ საჭიროებს 27(2) პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტაციის მოწმობის გაცემას, შეტყობინების ორგანომ უნდა წარუდგინოს ევროკომისიასა და ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს დოკუმენტური მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც დადასტურდება შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს კომპეტენცია და არსებული ზომები აღნიშნული ორგანოს რეგულარული მონიტორინგისა და 24-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების უწყვეტი დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.
5. შესაბამის ორგანოს შეუძლია სისრულეში მოიყვანოს შემფასებელი ორგანოს ქმედებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკომისია ან ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოები არ წარმოადგენს უარყოფას შეტყობინებიდან ორი კვირის განმავლობაში, აკრედიტაციის მოწმობის გამოყენების შემთხვევაში, ან შეტყობინებიდან ორი თვის განმავლობაში, აკრედიტაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის მხოლოდ ეს ორგანო ჩაითვლება შემფასებელ ორგანოდ.

6. შეტყობინების ორგანო მიაწვდის შეტყობინებას ევროკომისიასა და ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს შეტყობინებაში ნებისმიერი შემდგომი ცვლილების შესახებ.

მუხლი 29

შემფასებელი ორგანოების რაოდენობისა და სიების განსაზღვრა

1. კომისია მიანიჭებს საიდენტიფიკაციო ნომერს შემფასებელ ორგანოს.
იგი მიანიჭებს მხოლოდ ერთ ნომერს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორგანო შემფასებელია ევროკავშირის რამდენიმე აქტის საფუძველზე.
2. კომისია გაასაჯაროებს წინამდებარე დირექტივის თანახმად შემფასებელი ორგანოების სიას, მათთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომრებისა და იმ ღონისძიებების ჩათვლით, რომლებთან დაკავშირებითაც მოხდა მათი ნოტიფიცირება.
კომისია უზრუნველყოფს სიის მუდმივ განახლებას.

მუხლი 30

ცვლილებები შეტყობინებებში

1. იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების ორგანო დარწმუნდება ან მიეწოდება ინფორმაცია, რომ შემფასებელი ორგანო ველარ აკმაყოფილებს 24-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან ვერ ასრულებს ვალდებულებებს, შეტყობინების ორგანო შეზღუდავს, შეაჩერებს ან გამოითხოვს შეტყობინებას საჭიროებისამებრ, აღნიშნული მოთხოვნების ან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიხედვით. შესაბამისად იგი დაუყოვნებლივ მოახდენს ევროკომისიისა და ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების ინფორმირებას.
2. შეტყობინების შეზღუდვის, შეჩერების ან გამოთხოვის, ასევე შემფასებელი ორგანოს მიერ მისი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ, რომელიც უზრუნველყოფს შეტყობინებას, უნდა მიმართოს შესაბამის ზომებს, რათა მოახდინოს აღნიშნული ორგანოს ფაილების დამუშავება სხვა შემფასებელი ორგანოს მიერ ან მისი ხელმისაწვდომობა შეტყობინებისა და ბაზრის ზედამხედველი ორგანოებისთვის, მათი მოთხოვნისამებრ.

მუხლი 31

შემფასებელი ორგანოების კომპეტენციასთან დაკავშირებული გამოწვევა

1. ევროკომისია გამოიძიებს ყველა საქმეს, რომელთან დაკავშირებითაც მას გაუჩნდება ეჭვი შემფასებელი ორგანოების კომპეტენციასთან ან შემფასებელი ორგანოების მიერ მათ მიმართ გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობის უწყვეტ შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.
 2. ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს შეტყობინების, მიაწვდის ევროკომისიას, მისი მოთხოვნისამებრ, ყოველგვარ ინფორმაციას შეტყობინებისათან ან შესაბამისი შემფასებელი ორგანოს კომპეტენციასთან დაკავშირებით.
 3. ევროკომისია უზრუნველყოფს მისი გამოძიებების პროცესში მოპოვებული ყოველგვარი სენსიტიური ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას.
 4. იმ შემთხვევაში, თუ ევროკომისია დარწმუნდება, რომ შემფასებელი ორგანო არ ან ვეღარ აკმაყოფილებს შეტყობინებისათან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მან უნდა მიიღოს იმპლემენტაციის შესახებ აქტი, რომლის საფუძველზეც მოსთხოვს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შეტყობინების, სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებების მიღებას, საჭიროების შემთხვევაში, შეტყობინების გამოთხოვის ჩათვლით.
- იმპლემენტაციის შესახებ აქტის მიღება უნდა მოხდეს 41(2) მუხლით გათვალისწინებული საკონსულტაციო პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 32

შემფასებელი ორგანოების საოპერაციო ვალდებულებები

1. შემფასებელი ორგანოები სისრულეში მოიყვანენ შესაბამისობის შეფასებას III დანართით გათვალისწინებული შესაბამისობის შეფასების პროცედურის თანახმად.
 2. შესაბამისობის შეფასება განხორციელდება პროპორციული სახით ისე, რომ არ წარმოქმნის არასაჭირო დატვირთვას ეკონომიკური ოპერატორების მიმართ.
- შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები სისრულეში მოიყვანენ მათ ქმედებებს ვალდებულების მასშტაბის, ოპერირების სექტორის, სტრუქტურის, შესაბამისი აპარატურის ტექნოლოგიის კომპლექსურობის ხარისხისა და წარმოების პროცესის მასიურობის ან სერიულობის გათვალისწინებით.
- აღნიშნულის შესრულებისას, მათ, მიუხედავად ყველაფრისა, უნდა დაიცვან სათანადო სიმკაცრისა და დაცულობის დონე, რაც აუცილებელი იქნება წინამდებარე დირექტივის მოთხოვნებთან აპარატურის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
3. იმ შემთხვევაში, თუ შემფასებელი ორგანო აღმოაჩენს, რომ მწარმოებელი ვერ აკმაყოფილებს I დანართით ან შესაბამისი ჰარმონიზებული სტანდარტებით ან სხვა ტექნიკური სპეციფიკაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იგი მიმართავს

მწარმოებელს, რომ მიიღოს სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებები და არ გასცემს მოწმობას.

4. იმ შემთხვევაში, თუ მოწმობის გაცემის შემდგომი შესაბამისობის მონიტორინგის განმავლობაში, შემფასებელი ორგანო აღმოაჩენს, რომ აპარატური ველარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, იგი მიმართავს მწარმოებელს, რომ მიმართოს სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებებს და შეაჩერებს ან გამოითხოვს მოწმობას, აუცილებლობის შემთხვევაში.
5. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მაკორექტირებელი ღონისძიებების მიღება ან მათ არ ექნება სათანადო ეფექტი, შემფასებელი ორგანოები შეზღუდავენ, შეაჩერებენ ან გამოითხოვენ ყოველგვარ მოწმობას, საჭიროებიდან გამომდინარე.

მუხლი 33

შემფასებელი ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრება

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შემფასებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები.

მუხლი 34

შემფასებელი ორგანოების მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

1. შემფასებელმა ორგანოებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია შეტყობინების ორგანოს შემდეგთან დაკავშირებით:
 - (ა) მოწმობის ნებისმიერი უარყოფა, შეზღუდვა, შეჩერება ან გამოთხოვა;
 - (ბ) ნებისმიერი გარემოება, რომელიც უარყოფითად აისახება შეტყობინების მოქმედებაზე ან პირობებზე;
 - (გ) მათ მიერ ბაზრის ზედამხედველი ორგანოებისგან შესაბამისობის შეფასების ღონისძიებებთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის ნებისმიერი მოთხოვნა;
 - (დ) მოთხოვნისამებრ, მათი შეტყობინებისა და ნებისმიერი შესრულებული ქმედების ფარგლებში, საზღვარგარეთ საქმიანობისა და ქვეხელშეკრულებების გაფორმების ჩათვლით, შესრულებული შესაბამისობის შეფასების ღონისძიებები.
2. შემფასებელი ორგანოები მიაწვდიან წინამდებარე დირექტივის საფუძველზე შემფასებელ სხვა ორგანოებს, რომლებიც ეწევიან იგივე შესაბამისობის შეფასების საქმიანობას მსგავს აპარატურასთან დაკავშირებით, სათანადო ინფორმაციას შესაბამისობის შეფასების უარყოფით და, მოთხოვნის შემთხვევაში, დადებითი შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 35**გამოცდილების გაზიარება**

ევროკომისია უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ნოტიფიცირებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს შორის გამოცდილების გაზიარების ორგანიზებას.

მუხლი 36**შემფასებელი ორგანოების კოორდინირება**

ევროკომისია წინამდებარე დირექტივის საფუძველზე უზრუნველყოფს სათანადო კოორდინაციასა და თანამშრომლობას შემფასებელ ორგანოებს შორის, რაც სათანადოდ უნდა იქნას ოპერირებული შემფასებელი ორგანოების სექტორული ჯგუფის ფორმით.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მათ მიერ შემფასებელმა ორგანოებმა მიიღონ მონაწილეობა აღნიშნული ჯგუფის მუშაობაში, უშუალოდ ან წარმომადგენლების მეშვეობით.

თავი 5

ევროკავშირის ბაზრის ზედამხედველობა, ევროკავშირის ბაზარზე შემავალი აპარატურის კონტროლი და ევროკავშირის უსაფრთხოების პროცედურები

მუხლი 37

ევროკავშირის ბაზრის ზედამხედველობა და ევროკავშირის ბაზარზე შემავალი აპარატურის კონტროლი

აპარატურასთან დაკავშირებით მოქმედებს (EC) №765/2008 რეგლამენტის 15(3) მუხლი და მე-16 მუხლიდან 29-ე მუხლამდე.

მუხლი 38

იმ აპარატურასთან მოქმედების პროცედურა, რომელიც ქმნის საფრთხეს სახელმწიფო დონეზე

1. იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის ერთერთი წევრი სახელმწიფოს ბაზრის ზედამხედველ ორგანოებს გააჩნიათ საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული აპარატურა საფრთხე უქმნის ასევე აღნიშნული დირექტივით გათვალისწინებულ საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის გარკვეულ ასპექტებს, ისინი მოახდენენ შესაბამისი აპარატურის შეფასებას, წინამდებარე დირექტივით წარმოდგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების განმავლობაში, ბაზრის ზედამხედველი ორგანოები აღმოაჩინენ, რომ აპარატურა ვერ აკმაყოფილებს მოცემული დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ,

ყოველგვარი ვადაგადაცილების გარეშე, უნდა მოსთხოვონ შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებების მიღება აპარატურის აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, გონივრული პერიოდის განმავლობაში აპარატურის გაყიდვიდან ამოღების ან ბაზრიდან გამოთხოვის მიზნით, არსებული რისკის მიხედვით.

ბაზრის ზედამხედველი ორგანოები მოახდენენ შესაბამისი შემფასებელი ორგანოების ინფორმირებას.

(EC) №765/2008 რეგლამენტის 21-ე მუხლი გამოიყენება წინამდებარე პუნქტის მეორე პუნქტში მითითებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის ზედამხედველი ორგანოები ჩათვლიან, რომ შეუსაბამობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი სახელმწიფო ტერიტორიით, ისინი მიაწვდიან ინფორმაციას ევროკომისიას და ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს შეფასების შედეგებსა და მათ მიერ ეკონომიკური ოპერატორისგან მოთხოვნილი ქმედებების შესახებ.
3. ეკონომიკური ოპერატორი უზრუნველყოფს ყოველგვარი სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიების მიღებას შესაბამის აპარატურასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი ჩაუშვებს გაყიდვაში ევროკავშირის მასშტაბით.
4. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორი არ მიმართავს შესაბამის მაკორექტირებელ ღონისძიებას პირველი პუნქტის მეორე ქვეპუნქტით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში, ბაზრის ზედამხედველი ორგანოები სისრულეში მოიყვანენ შესაბამის პირობით ღონისძიებას, რათა აკრძალონ ან შეზღუდონ აპარატურის ხელმისაწვდომობა მათ სახელმწიფო ბაზარზე, ამოიღონ აპარატურა გაყიდვიდან ან გამოითხოვონ ბაზრიდან.

ბაზრის ზედამხედველი ორგანოები მიაწვდიან ინფორმაციას ევროკომისიასა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აღნიშნული ღონისძიებების შესახებ, ყოველგვარი ვადაგადაცილების გარეშე.

5. მე-4 პუნქტის მეორე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს ყოველგვარ ხელმისაწვდომ დეტალურ მონაცემებს, კერძოდ, შეუსაბამო აპარატურის, აპარატურის წარმოშობის, განცხადებული შეუსაბამობისა და აღნიშნულთან დაკავშირებული რისკების, სახელმწიფოს დონეზე განხორციელებული ქმედებების არსისა და ხანგრძლივობის და შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების იდენტიფიცირების მიზნით აუცილებელ ინფორმაციას. კერძოდ, ბაზრის ზედამხედველმა ორგანოებმა უნდა მიუთითონ, შეუსაბამობა გამოწვეულია თუ არა ერთერთი შემდეგი მიზეზით:

- (ა) აპარატურა ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასპექტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს; ან
- (ბ) მე-13 მუხლით გათვალისწინებულ ჰარმონიზებულ სტანდარტებში არსებული ხარვეზი ხელს უშლის შესაბამისობის პრეზუმპციას.
6. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც არ წარმოადგენენ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის ინიციატორ წევრ სახელმწიფოებს, ყოველგვარი ვადაგადაცილების გარეშე უნდა შეატყობინონ ევროკომისიას და ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებს აპარატურის შეუსაბამობასთან დაკავშირებით ნებისმიერი მიღებული ზომისა და მათ განკარგულებაში არსებული ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის შესახებ, ხოლო მიღებულ სახელმწიფო ზომებთან მათი შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ასევე უნდა აუწყონ მათი უარი.
7. იმ შემთხვევაში, თუ მე-4 პუნქტის მეორე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებიდან სამი კვირის განმავლობაში, ევროკავშირის ამა თუ იმ წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებულ პირობით ზომებთან დაკავშირებით უარს არ განაცხადებს ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფო ან ევროკომისია, აღნიშნული ზომა ჩაითვლება დადასტურებულად.
8. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ შესაბამისი აღმკვეთი ზომები, როგორცაა აპარატურის ამოღება გაყიდვიდან, მიღებულ იქნას შესაბამის აპარატურასთან დაკავშირებით ყოველგვარი ვადაგადაცილების გარეშე.

მუხლი 39

ევროკავშირის უსაფრთხოების დაცვის პროცედურა

1. იმ შემთხვევაში, თუ 38(3) და (4) მუხლით გათვალისწინებული პროცედურის დასრულებისას წარმოდგენილი იქნება უარყოფა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ შესრულებულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, ან თუ ევროკომისია მიიჩნევს, რომ სახელმწიფო დონეზე მიღებული ზომები ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობას, ევროკომისია, ყოველგვარი ვადაგადაცილების გარეშე, გაუწევს კონსულტაციას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორსა თუ ოპერატორებს და მოახდენს სახელმწიფო დონეზე განხორციელებული ქმედების შეფასებას. აღნიშნული შეფასების შედეგების საფუძველზე, კომისია მიიღებს იმპლემენტაციის შესახებ აქტს, რომელშიც მითითებული იქნება სახელმწიფო დონეზე შესრულებული ქმედების დადასტურება.

ევროკომისია წარუდგენს მის გადაწყვეტილებას ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს და დაუყოვნებლივ აცნობებს მათ და შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორსა თუ ოპერატორებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო დონეზე შესრულებული ქმედება ჩაითვლება დადასტურებულად, ყოველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიმართოს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოს მათი ბაზრიდან შეუსაბამო აპარატურის გატანა და შესაბამისად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ევროკომისიას. ხოლო თუ სახელმწიფო დონეზე შესრულებული ქმედება არ ჩაითვლება გამართლებულად, ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფო მოახდენს აღნიშნული ქმედების გაუქმებას.
3. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ქმედება ჩაითვლება გამართლებულად და აპარატურის შეუსაბამობა გამოწვეული იქნება წინამდებარე დირექტივის 38(5) მუხლის (ბ) პუნქტით გათვალისწინებულ ჰარმონიზებულ სტანდარტებში არსებული ხარვეზით, კომისია მიმართავს (EU) №1025/2012 რეგლამენტის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურას.

მუხლი 40

ფორმალური შეუსაბამობა

1. 38-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის გარეშე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ ერთერთი შემდეგი აღმოჩენის გაკეთების შემთხვევაში, მან უნდა მიმართოს შეუსაბამობის აღმოფხვრის თხოვნით შესაბამის ეკონომიკურ ოპერატორს:
 - (ა) CE მარკირება მითითებულ იქნა (EC) №765/2008 რეგლამენტის 30-ე მუხლის ან წინამდებარე დირექტივის მე-17 მუხლის დარღვევით;
 - (ბ) CE მარკირება არ არის მითითებული;
 - (გ) EU შესაბამისობის დეკლარაცია არ არის შედგენილი;
 - (დ) EU შესაბამისობის დეკლარაცია არასწორად არის შედგენილი;
 - (ე) ტექნიკური დოკუმენტაცია არ არის ან არასრულად არის წარმოდგენილი;
 - (ვ) 7(6) მუხლით ან 9(3) მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, ყალბია ან არასრულია;
 - (ზ) მე-7 ან მე-9 მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული მოთხოვნა არ სრულდება.
2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეუსაბამობის გაგრძელების შემთხვევაში, ევროკავშირის შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიმართოს ყოველგვარ ზომას, რათა შეზღუდოს ან აღკვეთოს აპარატურის გაყიდვა ან მოახდინოს მისი გამოთხოვა ან ამოღება გაყიდვიდან.

თავი 6

კომიტეტი, გარდამავალი და საბოლოო დებულებები

მუხლი 41**კომიტეტის პროცედურა**

1. კომისიას დახმარებას გაუწევს ელექტრომაგნიტური თავსებადობის საკითხებზე შექმნილი კომიტეტი. კომიტეტი წარმოადგენს (EU) №182/2011 რეგლამენტის მნიშვნელობის ფარგლებში დაფუძნებულ კომიტეტს.
2. წინამდებარე პუნქტის მითითების შემთხვევაში, იგულისხმება (EU) №182/2011 რეგლამენტის მე-4 მუხლი.
3. კომისიას კონსულტაციას გაუწევს კომიტეტი იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის არსებობის შემთხვევაშიც (EU) №1025/2012 რეგლამენტის ან ევროკავშირის ნებისმიერი სხვა კანონმდებლობა მოითხოვს სექტორული ექსპერტების კონსულტაციას.

კომიტეტს ასევე შეუძლია განიხილოს ნებისმიერი სხვა საკითხი წინამდებარე დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელსაც წამოჭრის მისი თავმჯდომარე ან ევროკავშირის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი მისი საპროცესო ნორმების თანახმად.

მუხლი 42**ჯარიმები**

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ ეკონომიკური ოპერატორების მიერ წინამდებარე დირექტივის თანახმად მიღებული სახელმწიფო კანონის დებულებების დარღვევის შემთხვევაში მოქმედ ჯარიმებს და მიმართავენ ყოველგვარ ზომას, რაც აუცილებელი იქნება მათ კანონიერ ძალაში შესასვლელად. აღნიშნული წესები შესაძლებელია ასევე ითვალისწინებდეს სისხლის სამართლის ჯარიმებს სერიოზული დარღვევების შემთხვევაში.

წარმოდგენილი ჯარიმები უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და გადამარწმუნებელი.

მუხლი 43**გარდამავალი დებულებები**

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები არ შეუძლიან ხელს №2004/108/EC დირექტივით გათვალისწინებული მოწყობილობების გაყიდვაში ჩაშვებას და/ან ექსპლუატაციაში გაშვებას, რომელიც შეესაბამება წინამდებარე დირექტივას და რომელიც წარმოდგენილი იქნება გაყიდვაში 2016 წლის 20 აპრილამდე.

მუხლი 44**გადატანა**

1. 2016 წლის 19 აპრილისთვის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მიიღებენ და გამოაქვეყნებენ კანონებს, რეგლამენტებსა და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც აუცილებელი იქნება 2(2) მუხლის, 3(1) მუხლის (9)-(25) პუნქტების, მე-4 მუხლის, 5(1) მუხლის, 7-12 მუხლების, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლების, 19(1) მუხლის პირველი ქვეპუნქტის, 20-43 მუხლებისა და II, III და IV დანართების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შემდგომ ამისა, ისინი მიაწვდიან აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ტექსტს ევროკომისიას.

ისინი მიმართავენ აღნიშნულ ზომებს 2016 წლის 20 აპრილიდან.

იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მიმართავენ აღნიშნულ ზომებს, მათ უნდა გააკეთონ მითითება მოცემულ დირექტივაზე ან მათ თან უნდა ახლდეს ამგვარი მითითება ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. ისინი ასევე უნდა ითვალისწინებდეს განცხადებას, რომ მითითებები არსებულ კანონებში, რეგლამენტებსა და ადმინისტრაციულ ნორმებში წინამდებარე დირექტივით გამოთხოვილ დირექტივაზე უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც მითითება მოცემულ დირექტივაზე. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ მითითების გაკეთებისა და მისი ჩამოყალიბების მეთოდს.

2. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები წარუდგენენ ევროკომისიას იმ სახელმწიფო კანონის ძირითადი დებულებების ტექსტს, რომელსაც ისინი მიიღებენ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.

მუხლი 45 გამოთხოვა

№2004/108/EC დირექტივა ექვემდებარება გამოთხოვას 2016 წლის 20 აპრილიდან, ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვადებსა და V დანართით გათვალისწინებული დირექტივის გამოყენების თარიღებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ვალდებულებების დარღვევის გარეშე.

გამოთხოვილ დირექტივაზე მითითება უნდა იქნას გაგებული, როგორც მითითება წინამდებარე დირექტივაზე და უნდა იკითხებოდეს VI დანართში წარმოდგენილი საკორელაციო ცხრილის შესაბამისად.

მუხლი 46 კანონიერ ძალაში შესვლა

წინამდებარე დირექტივა კანონიერ ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.

პირველი მუხლი, მე-2 მუხლი, 3(1) მუხლის (1)-(8) პუნქტები, 3(2) მუხლი, 5(2) და (3) მუხლები, მე-6 მუხლი, მე-13 მუხლი, 19(3) მუხლი და I დანართი კანონიერ ძალაში შედის 2016 წლის 20 აპრილიდან.

მუხლი 47
ადრესატები

წინამდებარე დირექტივა მოქმედებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიმართ.
შედგენილია სტრასბურგში 2014 წლის 26 თებერვალს.

ევროპარლამენტის სახელით
პრეზიდენტი
მ. შულცი

ევროსაბჭოს სახელით
პრეზიდენტი
დ. კურკულასი

დანართი I

ძირითადი მოთხოვნები

1. ზოგადი მოთხოვნები

მოწყობილობების დაპროექტება და დამზადება უნდა მოხდეს ტექნიკის უახლესი მიღწევების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ:

- (ა) აღნიშნული მოწყობილობების მიერ წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური ხელშეშლა არ აღემატებოდეს იმ დონეს, რომელზე მეტად შეუძლებელი იქნება რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების ან სხვა მოწყობილობების გამოყენება დანიშნულებისამებრ;
- (ბ) მოწყობილობებისთვის დამახასიათებელი იყოს სათანადო მედეგობა ელექტრომაგნიტური ხელშეშლის მიმართ, დანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში, რათა შესაძლებელი იყოს აღნიშნული მოწყობილობების დანიშნულებისამებრ მუშაობა ყოველგვარი მიუღებელი დარღვევის გარეშე.

2. სპეციალური მოთხოვნები სტაციონარულ დანადგარებთან დაკავშირებით

დანადგარები და კომპონენტების დანიშნულებისამებრ გამოყენება

სტაციონარული დანადგარები უნდა დამონტაჟდეს სათანადო ტექნოლოგიური პრაქტიკის გამოყენებით, ასევე მისი კომპონენტების დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვით, პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

დანართი II

მოდული ა: შიდა წარმოების კონტროლი

1. შიდა წარმოების კონტროლი წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს წინამდებარე დანართის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და აცხადებს და ადასტურებს მის ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას, რომ შესაბამისი აპარატურა აკმაყოფილებს მის მიმართ მოქმედი, წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. ელექტრომაგნიტური თავსებადობის შეფასება
 მწარმოებელმა სისრულეში უნდა მოიყვანოს აპარატურის ელექტრომაგნიტური თავსებადობის შეფასება, სათანადო მოვლენის საფუძველზე, რათა დააკმაყოფილოს I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნები.
 ელექტრომაგნიტური თავსებადობის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ყოველგვარ ჩვეულებრივ საოპერაციო პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ აპარატურას ექნება სხვადასხვა კონფიგურაციის აღების შესაძლებლობა, ელექტრომაგნიტური თავსებადობის შეფასება დაადასტურებს, აკმაყოფილებს თუ არა აპარატურა I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მწარმოებლის, როგორც მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების წარმომადგენლის მიერ განსაზღვრულ ყველა შესაძლო კონფიგურაციაში.
3. ტექნიკური მოთხოვნები
 მწარმოებელი შეიმუშავებს ტექნიკურ დოკუმენტაციას. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს სათანადო მოთხოვნებთან აპარატურის შესაბამისობის შეფასება და აღნიშნული მოიცავს რისკ(ებ)ის სათანადო ანალიზსა და შეფასებას.
 ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს მოქმედი მოთხოვნები და უნდა ითვალისწინებდეს, შეფასებასთან დაკავშირებით, აპარატურის დაპროექტებას, წარმოებასა და ექსპლუატაციას. საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ შემდეგ ელემენტებს:
 - (ა) აპარატურის ზოგადი აღწერილობა;
 - (ბ) კომპონენტების, ქვესისტემების, ქსელების და ა.შ. კონცეფტუალური პროექტი, საწარმოო ნახაზები და სქემები;
 - (გ) ზემოაღნიშნული ნახაზებისა და სქემების გაგებისა და აპარატურის ექსპლუატაციისთვის საჭირო აღწერილობები და განმარტებები;

- (დ) სრულად ან ნაწილობრივ გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების ჩამონათვალი, რომელთა მითითებაც გამოქვეყნდა *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში*, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ მომხდარა აღნიშნული ჰარმონიზებული სტანდარტების გამოყენება, წარმოდგენილი იქნა წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებების აღწერილობები, სხვა შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკაციების ჩათვლით. ნაწილობრივ გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების შემთხვევაში, ტექნიკურ სპეციფიკაციაში მოხდება გამოყენებული ნაწილების მითითება;
- (ე) შესრულებული პროექტის გამოთვლების, განხორციელებული შემოწმებების და ა.შ. შედეგები;
- (ვ) ტესტირების შესახებ ანგარიშები.

4. წარმოება

მწარმოებელი მიმართავს ყოველგვარ ზომას, რაც აუცილებელი იქნება იმისათვის, რომ წარმოების პროცესმა და მის მონიტორინგმა უზრუნველყოს წარმოებული აპარატურის შესაბამისობა წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასა და I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებთან.

5. CE მარკირება და EU შესაბამისობის დეკლარაცია

5.1. მწარმოებელი მიუთითებს CE მარკირებას ყოველ ინდივიდუალურ აპარატურას, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5.2. მწარმოებელი შეიმუშავებს წერილობით EU შესაბამისობის დეკლარაციას აპარატურის მოდელთან დაკავშირებით და გადასცემს მას ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად სახელმწიფო ორგანოებს განკარგულებაში აპარატურის გაყიდვაში ჩაშვებიდან 10 წლის განმავლობაში. EU შესაბამისობის დეკლარაციაში მითითებული იქნება ის აპარატურა, რომელთან დაკავშირებითაც მოხდა მისი შედგენა.

EU შესაბამისობის დეკლარაციის ასლი უნდა გადაეცეს შესაბამის ორგანოებს, მათი მოთხოვნისთანავე.

6. უფლებამოსილი წარმომადგენელი

მწარმოებლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შესაძლებელია სისრულეში იქნას მოყვანილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელითა და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ იმ პირობით, თუ აღნიშნული მითითებული იქნება მინდობილობაში.

დანართი III

ნაწილი ა

მოდული ბ: EU-ტიპის შემოწმება

1. EU-ტიპის შემოწმება წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, როდესაც შემფასებელი ორგანო ამოწმებს აპარატურის ტექნიკურ პროექტს და ადასტურებს, რომ აპარატურის ტექნიკური პროექტი აკმაყოფილებს I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებს.
2. EU-ტიპის შემოწმება სრულდება აპარატურის ტექნიკური პროექტის ადეკვატურობის შეფასების გზით მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დოკუმენტაციის შემოწმების საშუალებით, ნიმუშის (პროექტის ტიპის) შემოწმების გარეშე. აღნიშნული შესაძლებელია შემოიფარგლოს მწარმოებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მითითებული ძირითადი მოთხოვნების გარკვეული ასპექტებით.
3. მწარმოებელმა უნდა წარუდგინოს EU-ტიპის შემოწმებასთან დაკავშირებული განაცხადი ერთ შემფასებელ ორგანოს, მისი არჩევანისამებრ.

განაცხადში მითითებული უნდა იყოს იმ ძირითადი მოთხოვნების ასპექტები, რომელთან დაკავშირებითაც მოითხოვება შემოწმება და უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ინფორმაციას:

- (ა) მწარმოებლის სახელი და მისამართი, ხოლო თუ განაცხადს წარმოადგენს უფლებამოსილი წარმომადგენელი, ასევე მისი სახელი და მისამართი;
- (ბ) წერილობითი განცხადება იმისა, რომ იგივე განაცხადი არ ყოფილა წარდგენილი ნებისმიერი სხვა შემფასებელი ორგანოს მიმართ;
- (გ) ტექნიკური დოკუმენტაცია. ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს აპარატურის შესაბამისობის შეფასება წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და აღნიშნული უნდა ითვალისწინებდეს რისკ(ებ)ის ადეკვატურ ანალიზსა და შეფასებას. ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს მოქმედი მოთხოვნები და უნდა ითვალისწინებდეს, შეფასებასთან დაკავშირებით, აპარატურის დაპროექტებას, წარმოებასა და ექსპლუატაციას. საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ შემდეგ ელემენტებს:
 - i. აპარატურის ზოგადი აღწერილობა;
 - ii. კომპონენტების, ქვესისტემების, ქსელების და ა.შ. კონცეფტუალური პროექტი, საწარმოო ნახაზები და სქემები;
 - iii. ზემოაღნიშნული ნახაზებისა და სქემების გაგებისა და აპარატურის ექსპლუატაციისთვის საჭირო აღწერილობები და განმარტებები;

- iv. სრულად ან ნაწილობრივ გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების ჩამონათვალი, რომელთა მითითებაც გამოქვეყნდა *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში*, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ მომხდარა აღნიშნული ჰარმონიზებული სტანდარტების გამოყენება, წარმოდგენილი იქნა წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებების აღწერილობები, სხვა შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკაციების ჩათვლით. ნაწილობრივ გამოყენებული ჰარმონიზებული სტანდარტების შემთხვევაში, ტექნიკურ სპეციფიკაციაში მოხდება გამოყენებული ნაწილების მითითება;
- v. შესრულებული პროექტის გამოთვლების, განხორციელებული შემოწმებების და ა.შ. შედეგები;
- vi. ტესტირების შესახებ ანგარიშები.
4. შემფასებელი ორგანო შეამოწმებს ტექნიკურ დოკუმენტაციას, რათა შეაფასოს აპარატურის ტექნიკური პროექტის შესაბამისობა იმ ძირითადი მოთხოვნების ასპექტებთან, რომლებთან დაკავშირებითაც მოთხოვნილ იქნა შემოწმება.
5. შემფასებელი ორგანო შეადგენს შეფასების ანგარიშს, რომელშიც მითითებული იქნება მე-4 პუნქტის შესაბამისად შესრულებული ქმედებები და მათი შედეგები. შეტყობინების ორგანოების მიმართ გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გარეშე, შემფასებელი ორგანო სრულად ან ნაწილობრივ გაამჟღავნებს აღნიშნულ ანგარიშს მხოლოდ მწარმოებელთან შეთანხმების საფუძველზე.
6. იმ შემთხვევაში, თუ ტიპი აკმაყოფილებს შესაბამის აპარატურასთან დაკავშირებით მოქმედ წინამდებარე დირექტივას, შემფასებელი ორგანო გასცემს EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატს მწარმოებლის მიმართ. სერტიფიკატში მითითებული უნდა იყოს მწარმოებლის სახელი და მისამართი, შემოწმების შესახებ შედგენილი დასკვნები, შემოწმების ფარგლებში გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნების ასპექტები, მის ვალიდურობასთან დაკავშირებული პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დამტკიცებული ტიპის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი მონაცემები. EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატს შესაძლებელია თან დაერთოს ერთი ან ორი დანართი.
- EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატი და მისი დანართები უნდა ითვალისწინებდეს ყოველგვარ სათანადო ინფორმაციას, შესაფასებელ შემოწმებულ ტიპთან წარმოებული აპარატურის შესაბამისობის უზრუნველყოფისა და მისი წარმოების პროცესში კონტროლზე დაშვების მიზნით.
- იმ შემთხვევაში, თუ ტიპი არ აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოქმედ მოთხოვნებს, შემფასებელი ორგანოები უარს განაცხადებენ EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატის გაცემაზე და შეატყობინებენ

განმცხადებელს აღნიშნულის შესახებ, უარყოფის დეტალური მიზეზების მითითებით.

7. შემფასებელი ორგანო შეაფასებს თანამედროვე ტექნიკასთან დაკავშირებით განხორციელებულ ცვლილებებს, რის საფუძველზეც ვლინდება, რომ დამტკიცებული ტიპი ვედარ აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და განსაზღვრავს, საჭიროებს თუ არა აღნიშნული ცვლილებები შემდგომ გამოკვლევას. მოცემულ შემთხვევაში, შემფასებელი ორგანო უზრუნველყოფს მწარმოებლის სათანადოდ ინფორმირებას.

მწარმოებელი შეატყობინებს შემფასებელ ორგანოს, რომელიც ფლობს EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციას, დამტკიცებულ ტიპში განხორციელებულ ყოველგვარ ცვლილებას, რომელმაც შესაძლებელია იმოქმედოს აპარატურის შესაბამისობაზე წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ ძირითად მოთხოვნებთან ან აღნიშნული სერტიფიკატის ვალიდურობასთან დაკავშირებულ პირობებთან.

8. ყოველი შემფასებელი ორგანო მიაწვდის ინფორმაციას მის შეტყობინების უწყებას EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატებთან და/ან ნებისმიერ დამატებასთან დაკავშირებით, რომელიც გაცემული ან გამოთხოვილი იქნება მის მიერ და პერიოდულად, მოთხოვნის საფუძველზე, წარუდგენს შეტყობინების უწყებებს აღნიშნული სერტიფიკატების და/ან დამატებების ჩამონათვალს, რომლებიც დაექვემდებარა უარყოფას, შეჩერებას ან სხვაგვარად შეზღუდვას.

ყოველი შემფასებელი ორგანო მიაწვდის ინფორმაციას სხვა შემფასებელ ორგანოებს EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატებთან და/ან დანართებთან დაკავშირებით, რომელიც იქნა უარყოფილი, გამოთხოვილი, შეჩერებული ან რაიმე სხვა სახით შეზღუდული მის მიერ და, მოთხოვნისამებრ, იმ სერტიფიკატებსა და/ან დამატებებთან დაკავშირებით, რომლებიც გაცემული იქნა მის მიერ.

ევროკომისიას, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და სხვა შემფასებელ ორგანოებს შეუძლიათ, მოთხოვნისამებრ, მიიღონ EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატების და/ან მათი დანართების ასლი. მოთხოვნის შემთხვევაში, ევროკომისიას და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შესაძლებელია გადაეცეთ ტექნიკური დოკუმენტაციისა და შემფასებელი ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმებების შედეგების ასლი. შემფასებელი ორგანო შეინახავს EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატის, მისი დანართებისა და დამატებების, ასევე ტექნიკური ფაილის ასლს, მწარმოებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის ჩათვლით, სანამ არ ამოიწურება აღნიშნული სერტიფიკატის მოქმედების ვადა.

9. მწარმოებელი გადასცემს EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატის, მისი დანართებისა და დამატებების, ასევე ტექნიკური დოკუმენტაციის ასლს სახელმწიფო ორგანოებს განკარგულებაში, აპარატურის გაყიდვაში ჩაშვებიდან 10 წლის განმავლობაში.

10. მწარმოებლის უფლებამოსილ წარმომადგენელს შეუძლია წარმოადგინოს მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადი და სისრულეში მოიყვანოს მე-7 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები მინდობილობაში მითითებული სახით.

ნაწილი ბ

მოდული გ: ტიპთან შესაბამისობა შიდა წარმოების კონტროლის საფუძველზე

1. შიდა წარმოების კონტროლის საფუძველზე ტიპთან შესაბამისობა წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების პროცედურის ნაწილს, რომლის საშუალებითაც მწარმოებელი ასრულებს მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და აცხადებს და ადასტურებს, რომ წარმოდგენილი პროცედურა შეესაბამება EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატში მითითებულ ტიპს და აკმაყოფილებს მათ მიმართ გამოყენებული წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. წარმოება

მწარმოებელი მიმართავს ყოველგვარ ზომას, რაც აუცილებელი იქნება იმისათვის, რომ წარმოების პროცესმა და მის მონიტორინგმა უზრუნველყოს წარმოებული აპარატურის შესაბამისობა EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატში მითითებულ დამტკიცებულ ტიპსა და მათთან დაკავშირებით მოქმედ, წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

3. CE მარკირება და EU შესაბამისობის დეკლარაცია

- 3.1. მწარმოებელი მიუთითებს CE მარკირებას ყოველ ინდივიდუალურ აპარატურას, რომელიც შეესაბამება EU-ტიპის შემოწმების სერტიფიკატში აღწერილ ტიპს და აკმაყოფილებს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- 3.2. მწარმოებელი შეიმუშავებს წერილობით EU შესაბამისობის დეკლარაციას აპარატურის ყოველ მოდელთან დაკავშირებით და გადასცემს მას სახელმწიფო ორგანოებს განკარგულებაში აპარატურის გაყიდვაში ჩაშვებიდან 10 წლის განმავლობაში. EU შესაბამისობის დეკლარაციაში მითითებული იქნება ის აპარატურის მოდელი, რომელთან დაკავშირებითაც მოხდა მისი შედგენა.

EU შესაბამისობის დეკლარაციის ასლი უნდა გადაეცეს შესაბამის ორგანოებს, მათი მოთხოვნისთანავე.

4. უფლებამოსილი წარმომადგენელი

მწარმოებლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შესაძლებელია სისრულეში იქნას მოყვანილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მისი სახელითა და მისი პასუხისმგებლობის ქვეშ იმ პირობით, თუ აღნიშნული მითითებული იქნება მინდობილობაში.

დანართი IV

EU შესაბამისობის დეკლარაცია (№ xxxx)⁶

1. აპარატურის მოდელი / პროდუქტი (პროდუქტის, ტიპის, პარტიის ან სერიული ნომერი):
2. მწარმოებლის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და მისამართი:
3. წინამდებარე შესაბამისობის დეკლარაცია გაიცემა მწარმოებლის ერთპიროვნული პასუხისმგებლობით.
4. დეკლარაციის საგანი (კონტროლის ფუნქციის მქონე აპარატურის იდენტიფიცირება; აღნიშნული შესაძლებელია ითვალისწინებდეს საკმარისი სიცხადის ფერად გამოსახულებას, როდესაც აუცილებელი იქნება აპარატურის იდენტიფიცირებისთვის):
5. ზემოაღნიშნული დეკლარაციის საგანი შეესაბამება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას ჰარმონიზაციის შესახებ:
6. მითითებები შესაბამის გამოყენებულ ჰარმონიზების სტანდარტებზე, სტანდარტის დამტკიცების თარიღის ჩათვლით, ან მითითებები ტექნიკურ სპეციფიკაციებზე, სპეციფიკაციის გამოცემის თარიღის ჩათვლით, რომელთან დაკავშირებითაც დადასტურდა შესაბამისობა:
7. საჭიროების შემთხვევაში, შემფასებელი ორგანო.... (სახელი, რაოდენობა), რომელმაც შეასრულა (ჩარევის ტიპი) და გასცა სერტიფიკატი:
8. დამატებითი ინფორმაცია:
 ხელმოწერილია:
 (გაცემის ადგილი და თარიღი):
 (სახელი, გვარი, თანამდებობა) (ხელმოწერა):

⁶ მწარმოებელი ვალდებულია მიაწოდოს ნომერი შესაბამისობის დეკლარაციას.

დანართი V

ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვადები და განაცხადის წარდგენის თარიღი
(გათვალისწინებულია 45-ე მუხლში)

დირექტივა	გადატანის ვადა	განაცხადის წარდგენის თარიღი
2004/108/EC	2007 წლის 20 იანვარი	2007 წლის 20 ივლისი

დანართი VI

საკორელაციო ცხრილი

დირექტივა 2004/108/EC	წინამდებარე დირექტივა
მუხლი 1 (1)	მუხლი 1 და მუხლი 2(1)
მუხლი 1 (2)	მუხლი 2(2)(ა)-(გ)
მუხლი 1 (3)	მუხლი 2(2)(დ)
მუხლი 1 (4)	მუხლი 2(3)
მუხლი 1 (5)	მუხლი 2(4)
მუხლი 2(1)(ა)	მუხლი 3(1)(1)
მუხლი 2(1)(ბ)	მუხლი 3(1)(2)
მუხლი 2(1)(გ)	მუხლი 3(1)(3)
მუხლი 2(1)(დ)	მუხლი 3(1)(4)
მუხლი 2(1)(ე)	მუხლი 3(1)(5)
მუხლი 2(1)(ვ)	მუხლი 3(1)(6)
მუხლი 2(1)(ზ)	მუხლი 3(1)(7)
მუხლი 2(1)(თ)	მუხლი 3(1)(8)
მუხლი 2(2)	მუხლი 3(2)
მუხლი 3	მუხლი 4
მუხლი 4	მუხლი 5
მუხლი 5	მუხლი 6
მუხლი 6	მუხლი 13
მუხლი 7	მუხლი 14
მუხლი 8	მუხლები 16 და 17
მუხლი 9(1)	მუხლი 7(5)
მუხლი 9(2)	მუხლი 7(6)
მუხლი 9(3)	მუხლი 18(1)
მუხლი 9(4)	მუხლი 18(2)
მუხლი 9(5)	მუხლი 18(3)
მუხლები 10 და 11	მუხლები 37, 38 და 39
მუხლი 12	თავი 4
მუხლი 13	მუხლი 19
მუხლი 14	მუხლი 45
მუხლი 15	მუხლი 43
მუხლი 16	მუხლი 44
მუხლი 17	მუხლი 46
მუხლი 18	მუხლი 47
დანართი I	დანართი I
დანართი II და IV დანართის I პუნქტი	დანართი II
დანართი III	დანართი III
IV დანართის მე-2 პუნქტი	დანართი IV
დანართი V	მუხლები 16 და 17
დანართი VI	მუხლი 24
დანართი VII	დანართი VI

ევროპარლამენტის განცხადება

ევროპარლამენტის აზრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ და იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იმპლემენტაციის შესახებ აქტები (EC) №182/2011 რეგლამენტის ფარგლებში განიხილება კომიტეტების სხდომებზე, ეს უკანასკნელი შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც 'კომიტოლოგიის კომიტეტები' ევროპარლამენტსა და ევროკომისიას შორის ურთიერთობების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულების I დანართის მნიშვნელობის ფარგლებში. ამგვარად კომიტეტების სხდომები წარმოდგენილია ჩარჩო ხელშეკრულების მე-15 პუნქტის ფარგლებში, იმ შემთხვევაში, თუ და იმ მოცულობით, რა მოცულობითაც განიხილება სხვა საკითხები.
